CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# „ტუტანჰამონის ნეშტიც რომ აღმოჩნდეს, კომპანია „RMG“ ჯგუფი თავის ტერიტორიაზე აუცილებლად შევა სამუშაოებით!“ ანუ ვინ უშლის ხელს კომპანიას მუშაობის დაწყებაში?

N5 (2935) 15 იანვარი 2014 წ PRESS ფასი 1 ლ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი



# სკანდალური საიდუმლო დოკუმენტი

## კეზერაშვილის ოფშორული ფირმები და ანგარიშები

იარაღით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის ირგვლივ სკანდალი პიკს აღწევს, საფრანგეთში მცხოვრებმა გავლენიანმა წყარომ „ალიას“ კეზერაშვილის ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების ანგარიშების შესახებ საიდუმლო დოკუმენტი მიაწოდა.

ვრცლად გვ. 3





# რა სკანდალის აგორება არ აწყობს ირაკლი ღარიბაშვილს?

რა სახიფათო პოლიტიკას ატარებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი? რატომ ვერ დასტაბილურდა ვითარება პროკურატურაში და რომელ მინისტრებს გაწირავს თვითმმართველობის არჩევნებამდე ღარიბაშვილი? რა ინფორმაციებს აწვდიან სამინისტროებში ჩანერგილი აგენტები ნაციონალებს?

ვრცლად გვ. 9



# პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება დაიწყო?

არსებობს თუ არა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ფარული დაპირისპირება? რა შეცდომებს უშვებს მარგველაშვილი? რით აღიზიანებს სახალხო დამცველი თურქეთს? ვინ და რატომ დაბლოკა ეკლესიის დასაცავად შექმნილი კანონპროექტი?

ვრცლად იხილეთ გვ. 7

## რომელი მაღალჩინოსნები უწყობენ შეთქმულებას პატრიარქს?



## რა საქმეებს აწყობს მერაბიშვილი-ახალაიას ხალხი კულუარებში?



## „ნაციონალებმა“ არჩევნებისთვის ახალი სქემა აამუშავეს




## ღარიბაშვილი EBRD-ის მმართველ დირექტორს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველ დირექტორს, ოლივიე დეკამის შეხვდა.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და მასზე განხილული იყო ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და ევროპული ინვესტიციების მოზიდვის საკითხები.

**EBRD** საქართველოში ამ ეტაპზე დაახლოებით 1.8 მილიარდ ევროს ინვესტიციას ახორციელებს, საიდანაც ფინანსდება 150-მდე პროექტი, უმეტესობა დაფინანსებისა კი კერძო სექტორზე მოდის. (ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტი ევროსაბჭოს თანამომხსენებლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები – მაიკლ ასტრუპ იანსენი და ბორის სილევიჩი მიიღო. მხარეებმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს. საუბარი შეეხო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა, სახელმწიფოს მიერ უმცირესობათა უფლებების დაცვა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ქვეყნის გზა ასოცირების შეთანხმების პარაფირებიდან მის ხელმოწერამდე, ასევე, ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებსაც ხელისუფლება ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის მიმართულებით ახორციელებს. (ინტერპრესნიუსი)

## საშაურმეში მიკრობიოლოგიური დაბინძურება აღმოაჩინეს

შაურმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ 10 ადამიანის ინტოქსიკაცია გამოიწვია, მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ლაბორატორიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქათმის შაურმაში მრავლად იყო მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები, კოლიფორმები, ეკოლი, სტაფილოკოკები, პროტეუსი, ობის სოკო. საშაურმეს საწარმოო პროცესი შეუჩერდა და 1000 ლარით დაჯარიმდა. (ინტერპრესნიუსი)

# რა საქმეებს აწყობს მერაბიშვილი-ახალაიას ხალხი კულუარებში?

თუ მოვლენების განვითარება ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია „მშრალზე" გამოვიდნენ. მეტიც, თუ „ნაციონალების" მხრიდან აგორებულ კამპანიას კოალიციამ არაფერი დაუპირისპირა, ქვეყნის ეს ორი ამკლები მალე გმირად იქცევა და ჩვენს გულუბრყვილო საზოგადოებას მეტი არც უნდა, მტკნარ სიცრუესაც კი დაიჯერებს. როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი და ადამიანის უფლებების დამცველი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, ახალაია-მერაბიშვილის უკან მდგარი ადამიანები ისევ აგრძელებენ სააკაშვილის მიერ დანერგილი მეთოდებით ბრძოლას, ისევ გრძელდება მოსმენები, ჩაწერები. მე პირადად ვეთანხმები ბაკურიძეს, დამნაშავე ხელისუფლების „ნარჩენები" გააფთრებით ცდილობენ, როგორმე გამოიხსნან თავიანთი პატიმარი ლიდერები ციხიდან და საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ისინი სრულიად უდანაშაულონი არიან. აქ უკვე აშკარად იკვეთება მთავარი პროკურატურის უნიათობა, არაპროფესიონალიზმი და კერძო ინტერესები:

„მე ძალიან ბევრი ისტორია ვიცი იმის შესახებ, როგორ უსმენდნენ ციხეებში ადამიანებს, როგორ უთვალთვალებდნენ და შემდეგ როგორ აწამებდნენ. ბაჩო და დათა ახალაიები იყვნენ ამ ყველაფრის ავტორები... ახლა ვხედავ, როგორ გადააჭარბეს „ნაციონალებმა" ყველა ქვეყნის სპეცსამსახურებს, როგორ აქვეყნებენ ვიღაც პატიმრების ჩვენებებს და ამტკიცებენ, ბაჩო ახალაია „წმინდანი" იყოო. არადა, ახალაიას ერთ-ერთ ადვოკატი, გიორგი ონიანი თავად იყო მონაწილე ადამიანთა წამებისა, რაც ხდებოდა ციხეებში".

დიახ, თუ კარგად დავაკვირდებით მიმდინარე მოვლენებს, „ნაციონალური მოძრაობა" კარგად იყენებს თითოეულ დეტალს, თითოეულ წვრილმანს სათავისოდ... სამაგიეროდ, რას უპირისპირებს ამ ყველაფერს ახალი ხელისუფლება? ფაქტობრივად, ვერაფერს. ის კი არა, მე მგონი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იჩქარა, როცა 27 ათასი ფარული ჩანაწერის განადგურებაზე წამოიწყო საუბარი და როგორც შემდგომში გვაცნობეს, ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა. კი, ბატონო, ვიცი, რომ ახლა არადემოკრატიულ რაღაცას ვამბობ, მაგრამ მტკიცებულებების განადგურებამ „ნაციონალები" ჯერ გაათამამა, შემდეგ კი გაათავხედა. თამაზ ბაკურიძის თქმით, პროკურატურის სისუსტით აშკარად სარგებლობს მეორე მხარე:

„წარმოიდგინე, ესენი უკვე იმ დონეზე მუშაობენ, რომ მოწმეების მოსყიდვა-დაშანტაჟებასაც კი არ ერიდებიან. როგორც კი საქმე სასამართლომდე მიდის, მოწმეები ჩვენებებს ცვლიან, ნუთუ ეს ფაქტი პროკურატურას არაფერს ეუბნება? ხომ უნდა დაინტერესდეს გამოძიება, მერაბიშვილ-ახალაიას ხალხი რა საქმეებს აწყობს კულუარებში? მე ახლა გეტყვი ერთ მაგალითს: ამას წინათ პარლამენტარი კახა ბუცხრიკიძე დაბარებული იყო პროკურატურაში და როდესაც იქიდან გამოვიდა, ჟურნალისტებს უთხრა: მე მივეცი ჩვენება იმის თაობაზე, რომ გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული პირები ციხეში განსაკუთრებულ პირობებში არ იყვნენ, არანაირი განსხვავება არ იყო ჩვეულებრივ პატიმრებსა და მათ შორისო. წარმოგიდგენია? მე ხომ იმ დროს ციხეში ვიჯექი და ყველაფერს საკუთარი თვალით ვხედავდი? ან ბუცხრიკიძის ჩვენების საწინააღმდეგოდ პროკურატურამ რაიმე საპირისპირო მტკიცებულება დადო? არადა, ამ საკითხზე მეც მივეცი ჩვენება და კიდევ უამრავმა პატიმარმა, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა, რომლებიც უშუალო კავშირში იყვნენ გირგვლიანის მკვლელებთან. ციხეებში რაც ხდებოდა, საზოგადოებამ ამის შესახებ როდის დაიჯერა? როცა ფირები გაჩნდა, როცა კადრები ნახა. მე კი შევთავაზე კორძაიას, მაგრამ მერე დავინახე, რომ მან პასუხისმგებლობას თავი აარიდა. აი, ამის გამოა, რომ ახლა ბუცხრიკიძე და მისთანები გამოდიან და როგორც უნდათ, ისე ლაპარაკობენ, რას ამბობთ, გირგვლიანის მკვლელები და ჩვეულებრივი პატიმრები თანაბარ პირობებში იყვნენო".



კახა ბუცხრიკიძე მამალი „ნაციონალი" გახლავთ. სანამ დეპუტატი გახდებოდა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და როგორც თამაზ ბაკურიძე ამბობს, ხშირად სტუმრობდა გირგვლიანის მკვლელებს. ახლა, ამან რომ აღიაროს, მკვლელების დაკრულზე ვცეკვავდი და მათ დავალებებს ვასრულებდიო, „იასნია", თვითონაც ციხეში უნდა ამოყოს თავი და რა ძალა აქვს, პარლამენტში თბილად ჯდომა არ სჯობს, თანაც ჩვენს ხარჯზე?!



მაინც რატომ არის პროკურატურა ასეთი ინერტული? როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ არაპროფესიონალიზმისა და კერძო ინტერესების ბრალია თუ კიდევ არსებობს რაღაც, რასაც გარკვევა სჭირდება? თუკი დავუჯერებთ ბუცხრიკიძეს და არ დავუჯერებთ ბაკურიძეს, რომელიც 5 წელი ციხეში იჯდა, მაშინ ყველა საქმეს წავაგებთ. გამოდის, ამ შემთხვევაში რაღაც დიდი თამაში მიდის, რომლის არსსაც საზოგადოება ვერ წვდება. ბოლო-ბოლო, თუ ყველა მოწმეს შეაცვლევინებენ ჩვენებას, მოსახლეობაში ჩაინერგება აზრი: თურმე ესენი მართლები ყოფილან, რას ვერჩოდით? თურმე ციხეებში არც წამების ფაქტები ყოფილა, არც დაშანტაჟება, არც მკვლელობები, თურმე ყველაფერი მოგონილია. სადაც სამართალია, მხოლოდ რამდენიმე პროკურორი კი არ არის სამსახურიდან გასაშვები, ერთი ამბავი რომ ატეხეს, არიქა, თანამდებობებზე დაგვაბრუნეთო, არამედ ყველა. დიახ, სწორედ ძველი პროკურორების ბრალია, რომ დღეს უამრავი მოწმე თუ დაზარალებული თავს იკავებს ჩვენების მიცემაზე. თამაზ ბაკურიძის თქმით, ახალაიას, მერაბიშვილისა და სააკაშვილის მიერ გაწირული ადამიანები თავს იკავებენ, ხმას ვერ იღებენ იმის გამო, რომ თანამდებობებზე ისევ ის პროკურორები სხედან, რომლებიც ადრე ამ ადამიანებს უკანონოდ იჭერდნენ და აუბედურებდნენ:

„ამიხსენი, ვისთან უნდა მივიდნენ დაზარალებულები, დამნაშავეებთან? ვისი ეშინია ამ ხალხს? ისევ იმ პროკურორისა, რომელიც დააწინაურეს. ადამიანებმა დაკარგეს სამართლიანობის აღდგენის განცდა. კი, ბატონო, შენ მეუბნები, რომ ესენი სააკაშვილის დავალებებს ასრულებდნენ და ახლა გამოსწორდებიან, მაგრამ ხომ იცი, რომ ეს ზღაპარია? ამ შემთხვევაში ხალხს აღარ სჯერა შენი. მაგალითად, დავასახელებ ბათუმის ყოფილ პროკურორს, ავთანდილ კილაძეს... ხულოს კუდ-ის ყოფილ უფროსს, ყურშუბაძეს. ეს უკანასკნელი „ოცნების" წევრებს დასდევდა „დუბინკით", როცა ბიძინა ივანიშვილი ჩამოვიდა ბეშუმში და იქ რაღაც ინციდენტიც მოხდა. არჩევნების შემდეგ ყურშუბაძე დააწინაურეს, ის გახდა ქედას, შუახევისა და ხულოს სუს-ის უფროსი. რაც შეეხება კილაძეს, ის იყო ადეიშვილის უახლოესი მეგობარი. ერთი ხანობა, მერაბიშვილმა მისი დაჭერა დააპირა, ადეიშვილმა უცებ გადაიყვანა გარემოს დაცვის ინსპექციაში. არჩევნების შემდეგ ეს ადამიანიც დააბრუნეს პროკურატურაში. ხალხმა ატეხა ერთი ამბავი, ზოგი ქუჩაშიც გამოვიდა ამის გამო, მაგრამ არაფერი. ახლა რატომ გიკვირს, რომ ხალხი აღარც ჩივის და აღარც მოწმედ გამოდის? კი, ბატონო, მე და შენ ვიცით, რომ ბევრი რამე შეიცვალა, ის შიში აღარ უნდა იყოს, თავისუფლების სიომ წამოუბერა, მაგრამ მოსახლეობას მაინც არ სჯერა".

დასკვნა: ძველი კადრების დატოვება პროკურატურასა და სხვა ძალოვან უწყებებში იწვევს ნიჰილიზმს. ადამიანები, რომლებიც მთელი 9 წლის განმავლობაში ეწეოდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას, უნდა ჩამოშორდნენ თანამდებობებს და პასუხი აგონ კანონის წინაშე, ანუ საქმე ძალიან მარტივადაა, დასასჯელი უნდა დაისაჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო დიდ უბედურებას გადავეყრებით, ვიდრე აქამდე იყო!

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დასაქმების სურვილი არ აქვთ



ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მიუსაფართა თავშესაფრის მობინადრეთა უმეტესობას დასაქმების სურვილი არ აქვს. 50 ბენეფიციარიდან დასაქმების სურვილი 15-მა გამოთქვა, საიდანაც 3 უკვე დასაქმდა.

რაც შეეხება უშუალოდ მიუსაფართა თავშესაფარში განხორციელებულ ღონისძიებებს, სამინისტროს ინფორმაციით, ყოველდღიურად, დილით და საღამოს ხდება ბენეფიციართა აღრიცხვა. მობინადრეებს აქვთ ორჯერადი კვება, საჭმელი კი გაიცემა ერთჯერადი ჭურჭლით.

„ამასთანავე, დღეში ერთხელ ხდება ფინანსთა სამინისტროსა და ფიზიკური პირების მიერ შემოწირული ტანსაცმლის განაწილება, ისეთი ნივთები კი, რომლის შემოწირულობაც არ ხდება, მაგალითად, წინდების, „კათარზისის" უზრუნველყოფით ურიგდებათ", – განმარტავენ სამინისტროში.

სანიტარიული მდგომარეობის თვალსაზრისით კი, უწყებაში ამბობენ, რომ დღის განმავლობაში, ყოველ 15 წუთში ერთხელ ხდება საპირფარეშოების დეზინფექცია და დასუფთავება.

„რაც შეეხება აბანოს, დამყარდა ურთიერთობა დროებითი თავშესაფრის ახლოს მდებარე აბანოსთან, რომლითაც ამ დროისთვის ისარგებლა 150-მა ბენეფიციარმა. ასევე, მოწყობილია აბანო ადგილზეც, რომლითაც სარგებლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. გარდა ამისა, მოწყობილია მედპუნქტი და დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობს ექიმი", – აცხადებენ სამინისტროში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტერიტორია შემოღობილია, გაკეთდა შლაგბაუმი, ასევე კონტროლდება ალკოჰოლური სასმელების შეტანა. თავშესაფარში დღეის მდგომარეობით, 177 მობინადრე იმყოფება. (ინტერპრესნიუსი)

## რუსულ სამხედრო თვითმფრინავებს არ გადაუფრენიათო



„საქაერონავიგაცია" თბილისის თავზე რუსული სამხედრო თვითმფრინავების გადაფრენას არ ადასტურებს.

„გავრცელებული ინფორმაცია, რომ 10 იანვარს, თბილისს სომხეთისკენ მიმავალმა რუსულმა გამანადგურებელმა და სამხედრო დანიშნულების სატვირთო თვითმფრინავმა გადაუფრინა, სიმართლეს არ შეესაბამება. ავიამეთვალყურეებს, რომლებიც სრულად მართავენ საქართველოს საჰაერო სივრცეს, რუსული თვითმფრინავები არ დაუფიქსირებიათ. შესაბამისად, საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

ასევე, არ ვადასტურებთ ინფორმაციას, რომ იგივე შემადგენლობისთვის 20 იანვარს საქართველოს საჰაერო სივრცის კიდევ ერთხელ გახსნაა დაგეგმილი. ამ ფრენების ნებართვის მისაღებად სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის და „საქაერონავიგაციისთვის" ოფიციალურად არავის მოუმართავს", – აღნიშნულია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



კვლევა აწარმოა მსოფლიოში ცნობილმა აუდიტორულმა კომპანია **deloitte**-მ. ცნობისთვის, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმებ-ეგისტრირებულ კომპანიებში. ოფშორული ზონების ხიბლი სწორედ ისაა, რომ თანხების ბრუნვა კონფიდენციალურია და ინფორმაციის მოპოვება 311 883 დოლარამდე გაიზარდა და 2010 წელს 795 245 102 დოლარს მიაღწია.

ეს დოკუმენტი ამყარებს ეჭვს იმ ვერსიაზე, რომ კეზერ-მით მოქმედებდა: იარაღის შესყიდვა ხდებოდა, ფაქტობრივად, საქართველოსთვის, შემდეგ ფორმდებოდა ფორმალური ტრანზიტი და გადიო-და მესამე ქვეყნებში. იმ მესამე ქვეყნებში ხდებოდა უკვე გადაყიდვა ტერორისტულ ორგანიზაციებზე.

აი, რას წერს საქართველოს

# სკანდალური საიდუმლო დოკუმენტი

ის ანგარიშების შემოწმების უფლება მსოფლიოში რამდენიმე ლიცენზირებულ აუდიტორულ კომპანიას აქვს. დოკუმენტიდან კი ირკვევა, სად და რომელ კომპანიაში ილექებოდა კეზერაშვილის კორუფციული საქმიანობით მიღებული ფული, რომელიც ოფშორულ კუნძულებზეა დარეგისტრირებული, სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით შემოდიოდა საქართველოში უკვე გათეთრებული ფული, რომელიც უცხოური კაპიტალის სახელით ფიქსირდებოდა, რაც სახელმწიფოს ეთვლებოდა ინვესტიციის გაზრდაში, ხოლო კეზერაშვილის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები მონაწილეობდნენ ტენდერებში, თავდაცვის მიმართულებით, მათ შორის იარაღის შეძენაში. იარაღით უკანონო ვაჭრობიდან „შავ სალაროში" მილიარდები რჩებოდა და ეს ფული ირიცხებოდა თავისუფალ სავაჭრო ზონებში დარ-ხდება ძალიან რთულად. სირთულის მიუხედავად, ჩვენ ხელშ ჩაგვივარდა იმ კომპანიის დოკუმენტის მონაცემები, რომელიც უშუალოდ დავით კეზერაშვილს ეკუთვნის და „ალია" მზადაა, დაინტერესების შემთხვევაში დოკუმენტი გადასცეს პროკურატურას. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ **Future products company**-ს შვილობილი ერთ-ერთი კომპანიაა „**FPC**"-ის 100-პროცენტიანი დამფუძნებელი და მეწილე არის კეზერაშვილი. 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით სეიშელის კუნძულებზე კეზერაშვილის კუთვნილი კომპანიის ანგარიშებზე კაპიტალის ბრუნვამ შეადგინა 1 მილიარდი დოლარი. შვილობილი კომპანიები დარეგისტრირებული იყო გიბრალტარის, ბაჰამისა და სხვა კუნძულებზე. მას შემდეგ, რაც 2009 წელს „**FPC**"-მა დაიწყო საქმიანობა, მისმა ბრუნვამ 870 228 დოლარი შეადგინა, ამავე წელს თანხების ბრუნვა 103

აშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გაააქტიურა იარაღით უკანონო ვაჭრობა და მისმა თანხებმაც კოლოსალურ ციფრებს მიაღწია. კეზერაშვილით, რომელიც საფრანგეთის ციხეში განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურია დაინტერესებული. სავარაუდოდ, მისი საქმიანობა ამერიკის სპეცსამსახურებმა გაშიფრეს და მისი აყვანა უკავშირდება ამერიკის შპიონაჟის საქმეს, როცა ტოტალური მოსმენები განახორციელეს აშშ-ს სპეცსამსახურებმა ირანსა და სირიაში მოსალოდნელი ომის დაწყების წინ. არის ეჭვი, რომ კეზერაშვილს კავშირები ჰქონდა „ალ-ქაიდასთან", რომელსაც ის იარაღით ამარაგებდა, ასევე საუბარია სირიაში ბაშარ ალ ასადის რეჟიმთან მის საეჭვო კავშირებზე.

კეზერაშვილი ასეთი სქე-





თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ ცნობილი ფრანგული გამოცემა „ლე მონდი": „დავით კეზერაშვილი მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირია, მისი დაკავება საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ორ ქვეყანას შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ნაწილია. თავდაცვის მინისტრი იყო 2008 წლის ბოლომდე. ამ პოლიტიკური გამოცდილების შემდეგ დავით კეზერაშვილი ბიზნესით დაკავდა. არასამთავრობო ორგანიზაცია **Transparency International**-ის საქართველოს განყოფილება არაერთხელ უსვამდა ხაზს მისი აქტივების დაუდგენელ წარმომავლობას, რომლებიც დარეგისტრირებული იყო ოფშორულ ზონებში. 2013 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მას ბრალი დასდო 12 მილიონი დოლარის ქრთამის სახით აღებაში, რის სანაცვლოდაც 2007-2012 წლის პერიოდში ის პროტექციას უწევდა კონტრაბანდული ალკოჰოლის ტრაფიკს უკრაინიდან. მაგრამ, მის საქმეში მთავარი ბრალდება ეხება 2008 წელს და ტელეკომპანია „იმედს". თავის დროზე, მან აიძულა მთავარი აქციონერი, ჯოზეფ ქეი ტელეკომპანია 10 მილიონი დოლარის სანაცვლოდ დაეთმო. დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე, კეზერაშვილი საფრანგეთში ლონდონიდან ჩამ-

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*



## ახალაია ივანიშვილის პირადი პატიმარია?



ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოციალურ ქსელში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასთვის ბრალის დამძიმებას ეხმიანება.

„უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ბაჩო ახალაია წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. ამ დროის განმავლობაში ივანიშვილის მთავრობამ და პროკურატურამ მას არაერთი ბრალი წაუყენა, თუმცა ბაჩოს წინააღმდეგ სასამართლოში განხილულმა ყველა საქმემ სრული კრახი განიცადა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა ყველა შესაძლო კანონიერი თუ უკანონო მეთოდით განაგრძობს მისთვის წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების მცდელობას. თითოეული წარუმატებელი საქმის შემდეგ პროკურატურა ახალ ბრალდებას აცხობს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ბაჩო ახალაია უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ივანიშვილის უკანონო პირად პატიმარს წარმოადგენს. ახალაიას, ისევე როგორც სხვა პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების პატიმრობა არის ივანიშვილის მცდელობა, გადაფაროს საკუთარი მთავრობის შეცდომები და ხშირ შემთხვევებში დანაშაული", – აცხადებს ყოფილი პრემიერი.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიასა და თბილისის №7 საპყრობილის ყოფილ დირექტორს მეგის ქარდავას ბრალი დაუმძიმდათ. (ჯი-ეიჩ-ენი)



## აეროპორტში მგზავრთა ნაკადმა იმატა



2013 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიერ გატარებული მგზავრების რაოდენობა 17,79%-ით გაიზარდა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიერ 1 მლნ 436 ათას 46 მგზავრი იქნა გატარებული, მაშინ როდესაც 2012 წელს აეროპორტმა 1 მლნ 219 ათას 174 მგზავრი გაატარა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიერ გატარებული მგზავრების რაოდენობა 2011 წელთან შედარებით 35,67%-ითაა გაზრდილი. 2011 წელს აეროპორტმა 1 მლნ 58 ათას 482 მგზავრის გატარება განახორციელა.

გარდა ამისა, გაიზარდა ტვირთების მოცულობაც და 2 658,97 ტონა შეადგინა, რაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, 2012 წლის მონაცემებთან შედარებით 16,15%-ითაა გაზრდილი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2013 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საშუალებით გატარებულია 402,41 ტონა ტვირთი, მაშინ როდესაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 2013 წელს 2 256,56 ტონა ტვირთის გადაზიდვაა დაფიქსირებული.

გაიზარდა რეისების რაოდენობაც – განხორციელდა 9 ათას 851 ერთეული რეგულარული რეისი, ხოლო 2 ათას 798 ერთეული ჩარტერული. 2013 წელს საქართველოს აეროპორტებიდან სულ 12 ათას 649 რეისია განხორციელებული, რაც 2012 წლის მონაცემებთან შედარებით 6,74%-ითაა გაზრდილი, რადგანაც 2012 წელს მთლიანობაში განხორციელებულია 11 ათას 850 რეისი. (ჯი-ეიჩ-ენი)

## ინაშვილი ძებნის დაწყების ითხოვს



ჟურნალისტი ირმა ინაშვილი შს სამინისტროს მიმართავს ყოფილი პატიმრის, გოდერძი ჯოლოხავას ძებნა დაიწყოს. მისი განცხადებით, ჯოლოხავა ბოლო რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო ზეწოლის ქვეშ ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას მხრიდან. ინაშვილი ადასტურებს, რომ მან შეახვედრა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჯოლოხავას, რადგან ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოწმე, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა. ინაშვილისვე თქმით, ის უარყოფს ჯოლოხავას ბრალდებებს და აცხადებს, რომ ვიდეორგოლი, რომელიც ბაჩო ახალაიას მეუღლემ გამოაქვეყნა, ზეწოლის შედეგად არის ჩაწერილი.

„მივმართავ ექსპერტიზის სამსახურს, რომ სასწრაფოდ დაიწყოს ექსპერტიზა, თუ ვინ იწერს ინტერვიუს გოდერძი ჯოლოხავასთან და არის თუ არა ეს ნამდვილად გიორგი ონიანი. თუ გიორგი ონიანია, პირდაპირ შეგვიძლია ვივარაუდოთ, ბაჩო ახალაიას ზეწოლა გოდერძი ჯოლოხავაზე. მივმართავ შსს-ს, რომ ჯოლოხავას ძებნა დაიწყოს, რადგან ის დღესაც არის ზეწოლის ქვეშ", – აღნიშნა ინაშვილმა.

ბაჩო ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა სოციალურ ქსელებში ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ყოფილი პატიმარი, გოდერძი ჯოლოხავა მედიაკავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელს, ირმა ინაშვილსა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ზეწოლაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ინაშვილი და წულუკიანი მას ჩვენების მიცემას აიძულებდნენ. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

ოვიდა, სადაც მან ერთი თვე ყოველგვარი შეფერხებების გარეშე გაატარა. როგორც ისრაელის პასპორტის მქონე ადამიანმა, მან საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. დავით კეზერაშვილი უზრუნველყოფდა პარტიის დაფინანსებას და ურთიერთობების განვითარებას კერძო სექტორის მსხვილ მეწარმეებთან.

კეზერაშვილი მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშ სწორედ რომ საერთაშორისო დანაშაულის გამო მოექცა, ამერიკულ ონლაინ გამოცემა **New Eastern Outlook**-ში გამოქვეყნებულ სკანდალურ სტატიაში ნათქვამია: „კეზერაშვილი აგვისტოს ომსა და ქართველი ადამიანების სიცოცხლეს იმისთვის იყენებდა, რომ დაუსჯელად ექურდა და დაეცვა საკუთარი თანაგუნდელები. საქართველოში კეზერაშვილის სახელს ყველა იმ კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობდა, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა. ის სააკაშვილის ბიძასთან, თემურ ალასანიასთან იარაღით უკანონოდ ვაჭრობაში თანამშრომლობდა. ქართველი ჟურნალისტებისთვის მალე გახდა ცნობილი, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები საზღვრებთან იარაღს უკანონოდ არიგებდნენ, რათა ამ იარაღის გამოყენება რუსებს დაჰბრალებოდათ. მალევე გახმაურდა იარაღის ბიზნესში დავად, ტერორისტული დაჯგუფებები ყალბი სერტიფიკატებით ყოველთვის შოულობენ იარაღს. ქართველები იღებდნენ იარაღს, როგორც ქვეყანა, რომლის ჯარსაც შეიარაღება კანონიერი მიზნებისთვის სჭირდებოდა. ის, რომ იარაღს არ ყიდულობდნენ მხოლოდ ჯარისთვის, ცნობილი გახდა 2008 წელს, როდესაც ქართველ ახალგაზრდა ჯარისკაცებს ხელცარიელს უშვებდნენ რუსეთთან საომრად. არის ვარაუდი, რომ

მონაწილე, ყოფილი პოლიტპატიმარი, გენერალი ტრისტან წითელაშვილიც ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, კეზერაშვილი აქტიურ კავშირში იყო იარაღით უკანონოდ მოვაჭრე საერთაშორისო დამნაშავე ვიქტორ ბუტისთან. მისი თქმით, საქართველო იარაღს უკრაინისგან ყიდულობდა, თუმცა, ისეთი ტიპის სამხედრო ტექნიკაა შეძენილი, რომელიც რუსეთის გარეშე საქართველოში ვერ მოხვდებოდა. უკრაინის „უკ-

გააკეთებდნენ. მაგალითად, „ბელ თრეინგში“ ჩაირიცხა 100 მილიონი, 80 მილიონი რეგისტრირდებოდა ოფშორში რეგისტრირებულ ორგანიზაციაში, 20 მილიონი კი ირიცხებოდა „უკსპეცექსპორტში“. იარაღის შესყიდვა უკრაინიდან მართლაც ხდებოდა, მაგრამ ამის შემდგომ საქართველო ამ იარაღს სირიასა და ირანზე ყიდდა. ამ საერთაშორისო დანაშაულის წყალობით, წინა ხელისუფლებამ 100 მილიარდი იშოვა...

# კეზერაშვილის ოფშორული ფირმები და ანგარიშები

ან“. – წერს ფრანგული გამოცემა.

კეზერაშვილის დაპატიმრებისთანავე, საფრანგეთში მისი ბოლოდროინდელი ვოიაჟებით ასევე დაინტერესდნენ სხვა ცნობილი ფრანგული გამოცემებიც. ფრანგული მედიის ცნობით, კეზერაშვილი საფრანგეთის ქალაქ ნიცადან ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გაფრენას გეგმავდა. შესაძლოა, მისი მარშრუტი უმნიშვნელოდ მოეჩვენოს ვინმეს, რომ არა ერთი დეტალი – კეზერაშვილი ჯერ კიდევ გასულ წლებში იარაღით უკანონოდ ვაჭრობაში იყო შემჩნეული, რის გამოც, ამერიკული მხარე, „ეფბიაის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა. – წერენ ფრანგი ჟურნალისტები. კეზერაშვილს ბულგარელებიც დაუპირისპირდნენ. მას ბულგარული კომპანია „არსენალი“ თანხის მითვისებაში ადანაშაულებს და უახლოეს პერიოდში მის წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლის დაწყებას გეგმავენ. „არსენალი“ კეზერაშვილს 100 მილიონ დოლარს ედავება. მათი მტკიცებით, ქარხნის პროდუქცია ქართულმა მხარემ 2008 წელს შეისყიდა, თუმცა, თანხის დიდი ნაწილი, დაახლოებით 100 მილიონი, აღარ გადაუხადა. ბოლო ინფორმაციით, კეზერაშვილთან კორუფციული გარიგების გამო, ბულგარეთში დააკავეს გავლენიანი ჩინოვნიკი, რომლის შესახებაც დეტალები არ ხმაურდება.

ლაზე ხშირად ნარკოტიკებითა და უკანონო იარაღით ვაჭრობას უკავშირებენ. 2004-2006 წლამდე კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის უფროსი იყო. ის წყვეტდა, რომელი მეწარმე დაეჭირათ, რა დაეხურათ და ასე შემდეგ. ამის შემდეგ ის თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, თუმცა, მას ამ სფეროში გამოცდილება არ ჰქონდა. ის „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდებოდა იმის გამო, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ისრაელთან და თავისუფლად მეტყველებდა ივრითზე. ცნობილია, რომ ისრაელში იარაღით ვაჭრობის ყველაზე შავი ბაზარი არსებობს. კეზერაშვილი ამყარებს ურთიერთობებს ამ კრიმინალურ სფეროშიც. მას ურთიერთობები ჰქონდა არა მარტო ისრაელთან, არამედ იარაღის სერბ მწარმოებლებთანაც. მათ განკარგულებაში შედის, აგრეთვე, ავიაგადაზიდვის რამდენიმე კომპანია, რომლებიც მსოფლიოს ცხელ წერტილებში ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ. მრავალი საერთაშორისო კანონი და კონვენცია კრძალავს იარაღით ვაჭრობას მათთვის, ვინც შეიძლება ეს იარაღი გამოიყენოს არაკანონიერი საქმიანობისთვის. ამის მიუხედავად,


Deloitte


Deloitte

ჯარისთვის განკუთვნილი იარაღი ტერორისტებს ურიგდებოდათ.

ბევრი მინისტრი მოაშორეს, მაგრამ კეზერაშვილი ხელუხლებელი იყო. ის ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობდა და ცნობილი ალექსანდრე ისმაილოვის საქმე. ის დასთანხმდა, საქართველოში უსარგებლო სამხედრო იარაღისა და ტექნიკის შემოტანას. ყველასთვის ცნობილი გახდა მათი სახელებიც, ვინც ალასანია-კეზერაშვილის ბინძურ და სისხლიან ბიზნესში მონაწილეობდა“. – წერს ამერიკული გამოცემა.

დავით კეზერაშვილს, მიხეილ სააკაშვილს, თემურ ალასანიას, იარაღით უკანონო ვაჭრობაში, აფხაზეთის ომის ვეტერანი, საბრძოლო ქვედანაყოფ „ავაზას“ მეთაური, აგვისტოს ომის



სპეცექსპორტს“, რომელიც იარაღს ყიდის, პირდაპირი კავშირი აქვს „როსვაარუჟენიასთან“. შესაბამისად, „როსვაარუჟენიასთან“ თანხმობის გარეშე, უკრაინა საქართველოს შეიარაღებას ვერ მიყიდდა. კეზერაშვილის მინისტრობის დროს უშუალოდ სააკაშვილმა დაამყარა კავშირები იუშჩენკოს მეშვეობით „უკსპეცექსპორტთან“, რომლის ხელმძღვანელიც ბონდარჩუკია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად გაფორმდა ძვირადღირებული იარაღის შესყიდვა, საქართველოში ძვირადღირებული იარაღი არ შემოსულა. თემურ ალასანია ამ იარაღით ამარაგებდა იმ ქვეყნებს, რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ რომელიმე კონკრეტული ტიპის იარაღის შეძენა. ეს ქვეყნებია: სირია, ირანი, ლათინოამერიკული ქვეყნები.

წითელაშვილი „ალიასთან“ იმ მაქინაციური სქემის შესახებ საუბრობს, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში შეძენილი სამხედრო ტექნიკა გაქრა. „არის ფირმა „ბელ თრეინგი“, რომელიც დარეგისტრირებულია სეიშელის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაში. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხები ირიცხებოდა „ბელ თრეინგში“, იქიდან კი – „უკრსპეცექსპორტში“. თავდაცვის სამინისტროს შეეძლო პირდაპირი წესით თანხები უკრაინაში ამ ორგანიზაციისთვის გადაერიცხა, მაგრამ თანხის პირდაპირი გადარიცხვით ფულს ვერ

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის საქმეს მალე საფრანგეთის სასამართლოს საერთაშორისო განყოფილება განიხილავს. კეზერაშვილს ცნობილ რუს მაფიოზთან, მეტსახელად „სიკვდილით მოვაჭრე ვიქტორ ბუტთან“ კავშირშიც ადანაშაულებენ. ვიქტორ ბუტს, რომელსაც დუბაიში ჰქონდა სათავო ოფისი, „ნაცელიტა“ ხშირად სტუმრობდა, მიხეილ სააკაშვილისა და დავით კეზერაშვილის ლიდერობით. სხვათა შორის, არის ინფორმაცია, რომ დუბაიდან ჩემოდნებით ფული დღემდე მიედინება სააკაშვილამდე. ვიქტორ ბუტს ამერიკის სასამართლომ ამერიკელების წინააღმდეგ შეთქმულებისა და ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ბრალდებით 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბუტის ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას აპირებდნენ აშშ-ს სააპელაციო სასამართლოში, თუმცა კეზერაშვილის დაკავების შემდეგ მათ სარჩელი უკან გამოიტანეს.

ფრანგული მხარე 16 იანვარს საქართველოდან დამატებით დოკუმენტებს ელოდება დავით კეზერაშვილზე, რომლის სასამართლოც 23 იანვარს არის ჩანიშნული, შეიწირავს თუ არა საერთაშორისო დანაშაულში ეჭვმიტანილი კეზერაშვილის საქმე სააკაშვილსა და მის ბიძას, ამას პროცესი დაგვანახვებს.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## შანტაჟის მცდელობა „ნაციონალების“ მხრიდან




საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ფარცხალაძის პროკურორობის ხანმოკლე პერიოდში მთავარ პროკურატურაში ძალიან ბევრი საქმე გააქტიურდა.

„ფარცხალაძეს უკავშირდება გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, ვინაიდან მის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ წარადგინა ახალი მტკიცებულებები და სასამართლომ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება. ის, რომ შურისძიება იყო ფარცხალაძეზე ამის დადასტურება მარტივად შეიძლება. მისი ნასამართლობის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს დიპლომატიური კორპუსისთვის ინფორმაცია მიწოდებული ჰქონდათ 10 დღით ადრე, ვიდრე ამაზე თავად გააკეთებდნენ განცხადებას. ეს ინფორმაცია კი გააჟღერეს მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“, – აცხადებს ძიძიგური და დასძენს რომ ფარცხალაძემ გადადგომით სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

„ფარცხალაძეს არავითარი პრობლემა სამართლებრივი თვალსაზრისით არ ჰქონდა, რომ თანამდებობაზე დარჩენილიყო. ფაქტობრივად, მთელი ფრონტი გაიმართა მის წინააღმდეგ. ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი, როგორებიც არიან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვები რომლებიც კანონის დარღვევაზე ლაპარაკობდნენ, საუბრობდნენ მის მორალურ პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონთან მას არავითარი პრობლემა არ ჰქონდა, სწორი და ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ, პოლიტიკური კოალიცია, ამ საკითხს არ დავაყენებდით, რადგანაც ჩვენთვის სახეზე იყო, რომ ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან შანტაჟის მცდელობა“, – აცხადებს ძიძიგური. (ჯი-ეიჩ-ენი)

## ავტობუსში მამაკაცი გარდაიცვალა



ავტობუსის მძღოლის განცხადებით, შუახნის მამაკაცი №33 ავტობუსში კოლმეურნეობის მოედანზე ავიდა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოულოდნელად გარდაიცვალა. თვითმხილველების განცხადებით, მამაკაცს ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, მგზავრობისას არანაირი ჩივილი არ ჰქონია. სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ჯიბიდან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და 400 ლარი ამოიღეს. ისინი მამაკაცის ნათესავებს დაუკავშირდნენ. (პირველი)

# „ტუტანჰამონის ნეშტიც რომ აღმოჩნდეს, კომპანია „RMG“ ჯგუფი თავის ტერიტორიაზე აუცილებლად შევა სამუშაოებით!“ ანუ, ვინ უშლის ხელს კომპანიას მუშაობის დაწყებაში?

მთელი ამ ისტორიის შემხედვარე კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ამ ქალაქში მართლაც „ყველაფერი მოსულა“. საქმე ისევ და ისევ საყდრისის გახმაურებულ ამბავს ეხება, მაგრამ ამჟამად უკვე ამ ამბავში კულტურის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის როლს შევეხებით, თუ როგორი წაჯექ-უკუჯექობით არიან ეს უწყებები დაკავებულები. საქმე ეხება „RMG“ ჯგუფს, რომელმაც 2012 წელს შეიძინა შპს „მადნეული“ და რომელსაც საყდრისზე წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია აქვს, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ 2014 წლის 10 აპრილს კომპანიას პირველი ლიცენზიის ვადა ეწურება და საყდრისის ფართობი, დიდი ალბათობით, მეორე ლიცენზიაში, შესაძლოა, აღარც მოხვდეს. კომპანიას უკვე დიდი ხანია, უნდა მისცემოდა უფლება ტერიტორიაზე შესვლისა, მაგრამ საქმე წინ არ მიდის. ოქროს მომპოვებელი კომპანიის აზრით, ამ ყველაფერის უკან დგას მინისტრის მოადგილე და სამინისტროს პირველი ვიოლინო მარინა მიზანდარი, რომელიც მხატვარ ვალიკო მიზანდარის შვილიშვილია და, როგორც სიტუაციიდან ჩანს, „ეტატ მიზანდარი კომპანიუ სავსემ ნი უვაჟაეტ!“ თუმცა, კომპანია „RMG“ ჯგუფს, საქმე სახუმაროდ რომ არ აქვს, ეს ყველაფრიდან ჩანს. რატომ იკლავს თავს აქტიურობით საყდრისის „აღმომჩენი“ გერმანული მხარე, ესეც გასაგებია: საქმე ეხება მილიონამდე დოლარს, რომელიც საყდრისის არქეოლოგიური კვლევებისთვის იყო გამოყოფილი, რაც დიდი წარმატებით აითვისა არქეოლოგმა თომას შტოლნერმა და საინტერესოა, აქედან რა თანხა დარჩა საქართველოს? სამწუხაროდ, კულტურის სამინისტრო ამით არ დაინტერესებულა. სამაგიეროდ, 2013 წლის ივლისში კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა 11-კაციანმა კომისიამ დადო დასკვნა, რის საფუძველზეც სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, საყდრისს გაუუქმდეს ძეგლის სტატუსი, რადგანაც დოკუმენტურად არ მოხერხდა დადასტურება, რომ ნამდვილად აქ ხდებოდა ოქროს მოპოვება. მაგრამ მივყვეთ მოვლენებს: 8 ივლისს კულტურის მინისტრი, კომისიის კვლევაზე დაყრდნობით, წერს პრემიერ-მინისტრს, რომ საყდრისში ოქროს მაღაროს არსებობა არ დასტურდება, მაგრამ, რადგანაც ძეგლს აქვს არქეოლოგიური ზონა, 15 სექტემბერს ეს ზონა უკვე მოხსნილი იქნება და კომპანიას შეეძლება, სრულფასოვანი სამუშაოების დაწყებაო, მანამდე კი ტერიტორიაზე საჭიროა, ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები, რაც გულისხმობს ტერიტორიიდან არტეფაქტების გატანასო. არტეფაქტებში იგულისხმება ის 14 000 რიყის ქვა, რაზეც ოქროს კვალიც კი არ აღმოჩნდა და რაც, კომპანიის ხარჯებით, ადგილობრივ მუზეუმში იქნა გადატანილი. ამის შემდეგ იწყება კომპანიის წარმომადგენლებისა და მინისტრ ოდიშარიას შორის მოლაპარაკება, რასაც მისი მოადგილე მარინა მიზანდარი ხელმძღვანელობს და ამ მოლაპარაკების დროს სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ვადა 15 სექტემბრიდან გადაწეულიყო 30 სექტემბრამდე, რათა ტერიტორიიდან არტეფაქტები ბოლომდე(!) გადაზიდულიყო. მარინა მიზანდარის სიტყვებია, რასაც ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილიც დაადასტურებს, რომ ამ დროის გასვლის შემდეგ საყდრისში ტუტანჰამონის ნეშტიც რომ აღმოჩნდეს, კომპანია „RMG“ ჯგუფი 1-ლი ოქტომბერს თავის ტერიტორიაზე აუცილებლად შევა სამუშაოებითო. კომპანია ამაზეც თანხმდება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ სამინისტროს სიტყვა სიტყვაა.



მაგრამ ჰოი, საოცრებავ! არქეოლოგებს მართალია, 15 სექტემბრამდე დრო ეცოტავათ და ვადა 1-ელ ოქტომბრამდე გადაწიეს, მაგრამ სამუშაოებს 5 სექტემბერს მორჩნენ, სტახანოვურად! თანაც ისე, რომ შაბათ-კვირას ისვენებდნენ დაძაბული შრომის შემდეგ! ანუ ასე ნაწვალევი 25 დღე „შეიტყაპუნეს“. 26 სექტემბერს მაშინდელ პრემიერ ივანიშვილთან იკრიბება ორივე მხარე და ცრემლებისა და ვაი-ვიშის ფონზე, მეორე მხარე კვლავ ითხოვს ახლა უკვე დამატებით ორ თვეს სამუშაოების დასასრულებლად. შეტყაპუნებული ერთი თვე ვითომც არ ყოფილა. აქ უკვე კომპანია დარაჯდება, რადგანაც ხედავს, რომ ხდება დროის ხელოვნური გაჭიმვა! მაგრამ კომპანია კვლავ ანგარიშს უწევს პრემიერის სიტყვას, რაც მან წარმოთქვა: „არა უშავს, რადგან ასე სურს სამინისტროს, დაე, ჩატარდეს კიდევ ერთი კვლევა და, თუ დარჩა კიდევ რამე, ისიც იქნას გამოტანილი ტერიტორიიდან, სამაგიეროდ, პარალელურად (ამ სიტყვებს მიაქციეთ ყურადღება), პარალელურად შევუშვათ კომპანია სამუშაოდ, რადგანაც 3000 კაცის უმუშევრად დატოვება არ იქნება სწორიო“. ეს იყო ივანიშვილის პოზიცია და ამიტომ კომპანია ამაზეც თანხმდება. მაგრამ აქაც ტყუვდება: „RMG“ ჯგუფი საყდრისის ტერიტორიაზე პარალელურ რეჟიმში სამუშაოდ სამინისტროს არ შეუშვია! ამის შემდეგ ოქროს მომპოვებელ კომპანიას უკვე თავიდან ევალება ახალი კვლევების დაფინანსება, რომლის მონიტორინგიც დაევალა უკვე მეცნიერებათა აკადემიას. შეიქმნა არქეოლოგიური ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სამუშაოები ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე და მთელი ამ სამუშაოების დროს, ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ იქნა მიკვლეული. ამის შესახებ დასკვნები გადაეცა მეცნიერებათა აკადემიას, კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს და ახლა უკვე 3 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დადო დასკვნა, №010107-397/493, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ... თუმცა, პირდაპირ ამონარიდს გაგაცნობთ ამ დასკვნიდან: „ბატონო გურამ (ოდიშარია), „RMG“ ჯგუფის დაფინანსებით 2013 წლის 21 ოქტომბრიდან სამუშაოებს აწარმოებდა შპს „არქეოლოგიური გაერთიანება“, რომელმაც დაასკვნა, რომ აქ კულტურული ფენები არ დასტურდება, თუმცა, აქ სამუშაოებს აწარმოებდა ეროვნული მუზეუმიც და მათ ამ უბანთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გააჩნიათ. დადგინდა, რომ ბორცვი სავსებით თავისუფალია არქეოლოგიური არტეფაქტებისგან და არქეოლოგიური თვალსაზრისით სტერილურია. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი სამუშაოები ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, დასკვნა სრულფასოვნად უნდა ჩაითვალოს. პატივისცემით, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე“. აი, ეს დასკვნა მიდის კულტურის სამინისტროში და ოდიშარიასაც რა დარჩენია? უნდა მისცეს უფლება კომპანიას ტერიტორიაზე შესვლაზე, ხომ? კულტურული




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, რომელიც უშუალოდ გასცემს სამუშაოების დაწყების ნებართვას, თავის მხრივ, აკვირდებოდა საყდრისში მიმდინარე სამუშაოებს და თავისი დასკვნა გაგზავნა კულტურის სამინისტროში. დასკვნაში ვკითხულობთ, რომ არქეოლოგთა გაერთიანების მიერ ჩატარებული სამუშაოები ხარისხიანად არის შესრულებული და გამოცემულია სააგენტოს დირექტორის მიერ სამუშაოების ჩაბარების ბრძანება. მაგრამ ამ პერიოდისთვის სამინისტროს ნებართვის გასაცემი და კანონით დათქმული ვადა, 15 დღე გაუდის. ნებართვა არ ჩანს, მაგრამ ჩანს მარინა მიზანდარის არანორმალური ზეწოლა ყველა იმ ადამიანზე, რომელიც ჩართულია ამ საქმეში: 23 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემია ყოვლად უსაფუძვლოდ უგზავნის სამინისტროს მეორე დასკვნას, სადაც ყველაფერი რადიკალურად არის შეცვლილი და კომპანიას უჩნდება ეჭვი, რომ აკადემიკოსი კვესიტაძე თუ პირველ შემთხვევაში მეცნიერებზე დაყრდნობით წერდა დასკვნას, ეს მეორე დასკვნა, კომპანიის წარმომადგენლების აზრით, სწორედაც რომ მიზანდარის კარნახით არის დაწერილი. კერძოდ, 23 დეკემბრის დასკვნაში წერია: „ბატონო გურამ, ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია საყდრისის ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, ამ ჭრილში(!) გამოგზავნილმა ჩემმა №11905 წერილმა, ამიტომ აუცილებლად მივიჩნევთ ჩვენი პოზიციის ცალსახად დაფიქსირებას: 8 წლის მანძილზე საყდრისში ეროვნულ მუზეუმთან ერთად კვლევებს ატარებდა გერმანული არქეოლოგიის ინსტიტუტი და ამ უაღრესად ავტორიტეტული კვლევების ეჭქვეშ დაყენება არაეთიკურ საქციელად მიგვაჩნია. არქეოლოგიური კვლევისთვის გამოყოფილი ორთვიანი პერიოდი სრულფასოვანი სამეცნიერო დასკვნის დადების საშუალებას არ იძლევა. აკადემია რეალისტურად აფასებს, ერთი მხრივ, სხვაობას სამეცნიერო კომპეტენციაში, რომელიც არსებობს გერმანიის არქეოლოგებს შორის და კულტურის სამინისტროს 11-კაციან კომისიას შორის და ეს საკითხი საქართველოში უნდა გადაწყდეს!“ ვივა აკადემია, ვავა პროფესორეს! კი, მაგრამ ივლისში კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა იმ 11-კაციანმა კომისიამ მაშინ მთელი იმდენი ხანი იხვი პუტა, თუ რა აკეთა? აბა, რა დასკვნებს დებდნენ? ამ 20 დღეში ასეთი რა მეხი დაგვეცა და რა დედამიწა გადაბრუნდა, მეცნიერებათა აკადემიამ ასე რადიკალურად განსხვავებული დასკვნა რომ დადო? აქ ერთი დეტალია: როცა კვესიტაძე პირველ დასკვნაზე წერს, „ჩემმა გამოგზავნილმა №11905 წერილმაო“, მისი პირველი დასკვნის ნომერი სხვაა, ესაა №010107-397/493. რაც შეეხება კვესიტაძის მიერ მოხმობილ ნომერს, ეს სხვა არაფერია, თუ არა კულტურის სამინისტროში დასკვნის რეგისტრაციის ნომერი! აქედან გამომდინარე, კომპანიას უჩნდება ეჭვი, რომ პრეზიდენტ კვესიტაძეს წინ დაუდეს გამზადებული დასკვნა, რაზეც მას ხელი მოაწერინეს, სხვა ახსნა ამას არ აქვსო, აცხადებს „RMG“ ჯგუფი. ანუ, ახლა ხომ საზოგადოებისთვისაც ნათელია, რომ მთელი ეს „დრო გადაგვიწიე ბიძია“, მხოლოდ საქმის გაწელვა- გაჯანჯლებისკენ იყო მიმართული. კი, მაგრამ ამდენ დავიდარაბას და ზილინა-ზილინას თამაშს, ბარემ თავიდანვე ეთქვათ კომპანიისთვის, არა, არ გაძლევთ უფლებასო და მორჩებოდა ყველაფერი! არა? ესაა სწორი მიდგომაა საკითხისადმი? მთლიანად ამ ამბავს აგვირგვინებს ის, რომ 2014 წლის 13 იანვარს კომპანია იღებს წერილს სამინისტროდან, სადაც სამინისტრო კომპანიას არ აძლევს უფლებას კომპანიას ტერიტორიაზე შესვლაზე. მიზანდარი სადაც დადის, ყველგან აცხადებს, საყდრისს მართალია, ძეგლის სტატუსი მოეხსნა, მაგრამ მაინც ძეგლიაო. ასე რომ, დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. სამინისტროს თვითონ ვერ გაუგია, რა უნდა და ცხადია, სხვასაც ვერ გააგებინებს. კანონის მიხედვით, ზოგადად, სამუშაოების აკრძალვა სამინისტროს არ ევალება, ამას მთავრობა უნდა აკეთებდეს. მაგრამ სად არის სამინისტროს რეალური პოზიცია? მაშინ ზაფხულში რატომ მოეხსნა სტატუსი საყდრისს? და ვიღაცამ ხომ უნდა გაარკვიოს, რა ხდება? ამიტომ, კომპანია უკვე საქართველოს მთავრობას სთხოვს საკითხის გარკვევას, საბოლოოდ, ქალი ეკუთვნის, თუ არ ეკუთვნის?


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

**გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით ბატონ გიორგი კვესიტაძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს და მისთვის გვეკითხა, რატომ შეიცვალა აკადემიამ აზრი, რა მოხდა? მაგრამ პრეზიდენტის ტელეფონი გამორთული დაგვხვდა, ამის შემდეგ უკვე მინისტრის პირველ მოადგილეს, მარინა მიზანდარს დავუკავშირდით:**

– სწრაფად მელაპარაკეთ, თათბირზე ვარ. მე მადანაშაულებს კომპანია ლობირებაში? ხო, მერე რა გნებავთ?

— **თქვენს კომენტარს ველოდებით.**

– არაფერი გაჭიანურება დროისა არ ხდება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის პირველი მოადგილე, რომლის საკურატორო თემა კულტურული მემკვიდრეობაა, ძეგლის ინტერესებს რომ იცავდეს, ეს ლობირებაა? ასეთი უსუსური ბრალდება არ ღირს კომენტარად. ძეგლის ლობირება, ასეთი ბრალდება, ჩემთვის ჟღერს კომპლიმენტად. მაპატიეთ.

**ეს არის სახელმწიფო უწყების პასუხი, მაგრამ არ შეიძლება, არ დაისვას კითხვა: ქართულ-გერმანულ ექსპედიციას 2004 წლიდან დღემდე რატომ აქვს სულ 220 დღე ნამუშევარი? ისიც საქართველოში, სადაც კლიმატური პირობები მთელი წლის განმავლობაში იძლევა საშუალებას, აწარმოო საველე კვლევა. გასაოცარია ნამდვილად, რომ, თუ ასეთი „მსოფლიო მნიშვნელობის“ ძეგლია, რატომ სწავლობდნენ წელიწადში მხოლოდ 20-25 დღე და მეტი არა.**

**თუ შესწავლა ამ ტემპით გააგრძელეს, 40-45 წელი კიდევ წინ აქვთ და რა ენაღვლებათ, სიბერეს ტკბილად და უდარდელად გაატარებენ, გრანტებთან ერთად.**

## ალასანიას ძველით ახალი წელი სამხედროებთან ერთად აღნიშნა



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ძველით ახალი წელი სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად აღნიშნა. ირაკლი ალასანია გორში, V ქვეით ბრიგადას ესტუმრა და ჯარისკაცებს 2014 წლის დადგომა კიდევ ერთხელ მიულოცა. მინისტრმა მათ გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო გეგმების განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

„მინდა ვუსურვო ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს, ოფიცრებს, სერჟანტებს 2014 წელი მათთვის იყოს ბედნიერი, ჩვენი ქვეყნისთვის იყოს მშვიდობის წელი. მინდა, ვუსურვო ავღანეთში ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს სამშობლოში, საკუთარ ოჯახებში დანაკარგის გარეშე დაბრუნება. დარწმუნებული ვარ, ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის წარმატების წელი იქნება. მინდა, მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ შეიარაღებული ძალები, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იქნება მოწოდების სიმაღლეზე და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში ყველაზე უფრო გადამწყვეტ წვლილს შეიტანს“, – აღნიშნა ალასანიამ.

V ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს ახალი წელი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსი ბატიაშვილმა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამაც მიულოცეს. მათ ჯარისკაცებს წარმატებები უსურვეს და სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ. (ინტერპრესნიუსი)

# რომელი მაღალჩინოსნები უწყობენ შეთქმულებას პატრიარქს?

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქართული ეკლესია რამდენიმე სახის გაუგებრობაში გაეხვია („გეების“ სკანდალი, „ხანუქას“ ინციდენტი, საშობაო ეპისტოლე). მისი უწმინდესობის საშობაო ეპისტოლემ უკვე გააჩინა „გონივრული“ ეჭვი, რომ საპატრიარქოში ვილაცა განგებ ურევს და არ არის გამორიცხული, ამ ვილაცას მოკავშირე ჰყავდეს, როგორც ახალ მთავრობაში, ისე „ნაციონალებსა“ და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

მოდით, დავიწყოთ თავიდან და ნელ-ნელა, ბოლო დროის მოვლენების გათვალისწინებით, გავიდეთ ბოლოში: „ალია“ უკვე წერდა, რომ პატრიარქის საშობაო ეპისტოლე დაწერილია ილია მეორის მდივან-რეფერანტის, შორენა თეთრუაშვილის მიერ. ვინაიდან მისი უწმინდესობა მოხუცდა და მის გარშემო უჩვეულო ფუსფუსი უკვე შეინიშნება, თეთრუაშვილს გადაუწყვეტია, საკუთარი ინტერესები გააძლიეროს საპატრიარქოში. ვინაიდან ის პატარა და გამოუცდელი გოგო არ გახლავთ, ცდილობს, ახალ ხელისუფლებაში მოძებნოს დასაყრდენი ძალა, რომელიც ამ ინტერესების გატარებაში დაეხმარება:

„დიახ, შორენა თეთრუაშვილი ცდილობს, სპეციალურად გაამწვავოს ზოგიერთი ისეთი ფაქიზი თემა, რომელიც საზოგადოების ვნებათაღელვას გამოიწვევს და შემდეგ ეკლესიის პოზიციით მანიპულირების ხარჯზე მოიპოვებს მთავრობის წევრების მხარდაჭერას, ასეთი თემები იყო „აი-დი“ ბარათები და სუროგაციის საკითხი... შორენა თეთრუაშვილისთვის ძალიან კარგად არის ცნობილი იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის პოპულისტური განწყობები... „აი-დი“ ბარათების თემასთან აგორებულ სკანდალში შორენამ ძალიან კარგად დაინახა, რომ წულუკიანი ცდილობს, ითამაშოს ამომრჩევლის რელიგიური გრძნობებით და ეს ყველაფერი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. ის წულუკიანზე გავლენის მოსახდენად იყენებს დედა ანასტასიას (თეასა და შორენას საერთო მეგობარი, იგივე ქეთევან გელაშვილი). წულუკიანისა და დედა ანასტასიას საერთო მეგობრები არიან ცნობილი კრიმინალები, ძმები ჯოხაძეები. ერთ-ერთი ჯოხაძისა და წულუკიანის ფოტო სოციალურ ქსელებშიც გავრცელდა, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. მაშინ იუსტიციის მინისტრს არც დაუმალავს, რომ ქურდებთან მეგობრობს და ამით ამაყობს კიდეც. ეს ფოტო დედა ანასტასიას გადაღებულია. სხვათა შორის, იგივე ანასტასიას ახლობლები არიან თეა წულუკიანის მეგობრები გიორგი ბადაშვილი და ნუგზარ კაკულია. ასევე, დედა ანასტასიასა და თეა წულუკიანის ახლო მეგობარია სკანდალებით ცნობილი მამა ბართლომე ფირცხალაშვილი, რომელმაც საჯარო წყევლითა და ლანძღვით არაერთხელ ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში პატრიარქი ილია მეორე. შორენა თეთრუაშვილის, თეა წულუკიანისა და დედა ანასტასიას გაუაზრებელი მოქმედებები, საბოლოო ჯამში, უკვე პრობლემებს უქმნის მის უწმინდესობას და ძალიან აზარალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს“.



ინკოგნიტო რესპონდენტი, რომელიც „ალიას“ თავად დაუკავშირდა, ქართულ ეკლესიაში საკმაოდ მაღალ პოზიციაზე იმყოფება, მაგრამ, მისი თქმით, დღეს ილია მეორე მოქცეულია იზოლაციაში, მას ვერავინ იხსნის სიმართლისა და საკუთარი მრევლის, ანუ ქართველი ხალხის გარდა. რა არის ეს? დიდი შეთქმულება მისი უწმინდესობის წინააღმდეგ და ამ შეთქმულებას სათავეში უდგანან ზემოდასახელებული პირები?!

ინკოგნიტო სასულიერო პირმა პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობაში თეთრუაშვილი და მღვდელი ხარაზიშვილი დაადანაშაულა. მისივე თქმით, ეს ქალბატონი რუსეთის საპატრიარქოს ინტერესებს ატარებს და ამ გზით რუსეთზე მუშაობს. თეთრუაშვილს დამფინანსებელი ჰყავს როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში, კერძოდ თეთრუაშვილის ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი ვლადიმერ იაკუნინია, რუსეთის რკინიგზის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ეს პიროვნება ასევე არის რუსული „ანდრია პირველწოდებულის ფონდისა“ და „ეროვნული დიდების ცენტრის თავმჯდომარე“.



შორენა თეთრუაშვილი

საქართველოში კი მის დამფინანსებლად მანანა შარაშიძეს ასახელებენ, რომელიც „პოსეიდონის“ მფლობელია. ეს სასტუმრო თბილისში ცნობილ ბორდელად ითვლება.

ვიმეორებ, ამაზე „ალიას“ წინა ნომრებში ვრცლად უკვე დაიწერა, მაგრამ აქ სამწუხარო ის გახლავთ, რომ პატრიარქის წინააღმდეგ წამოწყებულ შეთქმულებაში იუსტიციის მინისტრიც ფიგურირებს... ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს „ალიას“ ინკოგნიტო წყარო.

თუ გადავხედავთ წულუკიანის მიერ გაკეთებულ განცხადებებს „აი-დი“ ბარათებთან დაკავშირებით, მართლაც წავაწყდებით თამაშის მსგავს რაღაცას: თავიდან ის ამბობდა, რომ ეს ბარათი არაფრით განსხვავდება პირადობის ჩვეულებრივი მოწმობისგან და საჯარო რეესტრის ყოფილი ხელმძღვანელი, გიორგი ვაშაძე სიცრუეშიც კი დაადანაშაულა, მაგრამ ცოტა ხანში ლამის ხატზე დაიფიცა, მე უკვე ავიღე და ძალიან მაგარი რამე ყოფილაო:

„მე ავიღე ბარათი და მგონია, რომ ეს ერთ-ერთი გზაა, რომ თანამედროვე ადამიანმა ცხოვრება გაიადვილოს... მე, როგორც მართლმადიდებელმა მორწმუნემ, ჩავთვალე საჭიროდ, რომ ეს ბარათი მჭირდებოდა“.

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, ეს იყო გამიზნული კამპანია, რათა ბოლოს ხელები პატრიარქისთვის შეეწმინდათ, მაგრამ იმ პერიოდში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბული იყო და სკანდალი დიდხანს არ გაგრძელებულა.

და მაინც, რაში სჭირდება თეთრუაშვილს პოლიტიკური მხარდაჭერა ეკლესიის შიგნით? მას სჭირდება გავლენის გახანგრძლივება ეკლესიაში, რათა კიდევ დიდხანს დარჩეს „რუხი კარდინალის“ რანგში, ხოლო თეა წულუკიანს ეკლესია სჭირდება თავისი მომავალი გეგმებისთვის... ბუნებრივია, წულუკიანი ამ თამაშში მარტო არ გახლავთ, მის უკან უფრო წონიანი ფიგურები დგანან, მაგრამ ამაზე საუბრისგან ინკოგნიტო წყარო ჯერჯერობით თავს იკავებს.

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო 22-ე პოზიციაზეა




2014 წლის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“, საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის, 72,6 ქულით 22-ე პოზიციაზეა. ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰერიტიჯის ფონდი“ აქვეყნებს.

წლევანდელ ინდექსში ეკონომიკური თავისუფლების ათი მაჩვენებლიდან ხუთი გაუმჯობესდა – კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება და შრომის თავისუფლება.

მდგომარეობა გაუარესდა საკუთრების უფლების, ფისკალური თავისუფლების, ბიზნესის თავისუფლებისა და ვაჭრობის თავისუფლების თვალსაზრისით. ფინანსურ თავისუფლებაში მდგომარეობა იგივეა, რაც წინა წელს.

ამავე ინდექსის მიხედვით, ევროპის 43 ქვეყანას შორის საქართველო მე-12 პოზიციაზეა. 178 ქვეყანას შორის პირველ ადგილს ჰონკონგი იკავებს, ბოლო პოზიციაზეა ჩრდილოეთ კორეა.

2013 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს ოთხი ერთეულით ნაკლები, 72,2 ქულა ჰქონდა. (ინტერპრესნიუსი)

## იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები

უკვე ცნობილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის იმ კანდიდატთა სია, რომელთაგანაც პრეზიდენტმა ერთი უნდა დანიშნოს. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, კონკურსში მონაწილე კანდიდატების სიაში შევიდნენ:

მამუკა მდინარაძე – შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“; გია დეკანოზიშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ნინო ნიშნიანიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ზურაბ ძლიერიშვილი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ვახტანგ მჭედლიშვილი – საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის; გიორგი გიორგაძე – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“; გიორგი ბერძენიშვილი – აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი; ლევან ბოძაშვილი – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; ავთანდილ კახნიაშვილი – სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია; იური ტაბუცაძე – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; გიორგი გიორგაძე – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზურაბ სანიკიძე – ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი; ლილი გელუკაშვილი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გიორგი თევზაძე – ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისგან შედგება. საბჭოს 8 წევრს ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი. (ინტერპრესნიუსი)

**არსებობს თუ არა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ფარული დაპირისპირება? რა შეცდომებს უშვებს მარგველაშვილი? რით აღიზიანებს სახალხო დამცველი თურქეთს? ვინ და რატომ დაბლოკა ეკლესიის დასაცავად შექმნილი კანონპროექტი?**

**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე:**



# პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება დაიწყო?

– რასაც საზოგადოება ხედავს, მარგველაშვილსა და პრემიერს შორის, დაპირისპირება ნამდვილად არსებობს. როდესაც მარგველაშვილი შეირჩა პრეზიდენტის პოსტზე, ეს გადაწყვეტილება მიიღო ბიძინა ივანიშვილმა. იმის თქმა არ მინდა, რომ ღარიბაშვილისა და ივანიშვილის ინტერესები ერთმანეთს რადიკალურად არ ემთხვევა, მაგრამ ღარიბაშვილის გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ის სულ სხვა პიროვნებას დაასახელებდა. თვითონ მარგველაშვილი დასახელების დღიდან უკვე ბევრ სკანდალში გაება, ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე ამბებს ვგულისხმობ. მაგრამ აქ არის კიდევ უფრო მთავარი და ესაა ახალი პრეზიდენტის ლიბერალური შეხედულებები, რადგანაც მარგველაშვილის ზოგადი მსოფლმხედველობა დიდად არ განსხვავდება „რესპუბლიკელებისგან“. ალბათ, სწორედ ეს არის გარკვეული შეუთავსებლობის წინაპირობა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის. ახლა დაბეჯითებით იმის თქმა, რომ უზარმაზარი განხეთქილებაა ამ ორ პიროვნებას შორის, ალბათ, გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე პირველად მოხდა, რომ პრეზიდენტი არ მივიდა შობას საკათედრო ტაძარში. ეს საზოგადოებისთვის ნამდვილად გაუგებარი იყო, იქიდან გამომდინარე, რადგან, თუკი შენ საქართველოში არსებულ ყველა კონფესიას სცემ პატივს და ყველასთან მიდიხარ, ებრაელთანაც, მუსლიმანთანაც და კათოლიკესთანაც, მართლმადიდებელმა რა დააშავა? შობას ეკლესიაში მისვლა არის ეტიკეტი და იგულისხმება, რომ პატივი უნდა სცე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რელიგიურ გრძნობებს, რადგანაც შენ ხარ პრეზიდენტი და ქვეყნის სახე და ამიტომ ვთვლი, რომ ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო ტაძარში. ვფიქრობ, განხეთქილების მიზეზი ისაა, რომ პრეზიდენტმა ორაზროვანი განცხადება გააკეთა ეკლესიაში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, სადაც მან დაგმო ის ძალადობა, რაც საპატრიარქოსთან მოხდა და განაცხადა, რომ რეალურად არ უნდა მოხდეს ფიზიკური ანგარიშსწორება, რომ ჩვენ ტოლერანტული ერი ვართ, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს იმ ბინძურ კამპანიაზე, რაც პატრიარქის წინააღმდეგ იყო. ამ დროს, ირაკლი ღარიბაშვილს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს პატრიარქისადმი, მან პირადად გადაუხადა მადლობა პატრიარქს იმ ეპისტოლისთვის, რომელიც შობის დღეს გამოქვეყნდა. ის იყო პირველი ლიდერი, ვინც დასაწყისიდან ბოლომდე, მთელი ღამის მანძილზე ესწრებოდა წირვას, ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა.

ჩვენი წინამორბედი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ეს ადამიანი არ მივარდნილა ეკლესიაში კამერების თანხლებით, არც პოზიორობა დაუწყია და მერე არ გაქცეულა ნახევარ საათში ეკლესიიდან. ეს იყო მართლა რწმენით მისული ადამიანი, რომელმაც წირვის შემდეგ დიდი მადლობა გადაუხადა პატრიარქს ეპისტოლისთვის და იმ აქცენტებისთვის, რაზეც პატრიარქმა მიუთითა ეპისტოლეში, თქვა, ამას ჩვენ ყველა გავიზიარებთო... გარდა ამისა, როცა სააკაშვილი შედიოდა ტაძარში, ისეთი დაცვითი ბარიერები იყო, ისეთი ჩხრეკა და ერთი ამბავი, რომ მრევლს განცდა ჰქონდა, თითქოს სასჯელაღსრულების რომელიღაც დაწესებულებაში მოხვდნენ. შემდეგ იყო საშინელი ჭყლეტა, რადგან ვის გაუგია, პრეზიდენტი ჯარით მიდიოდეს ეკლესიაში? რაც უნდა შენთვის მიუღებელი იყოს პირი, ვის მოუვიდოდა აზრად პრეზიდენტისთვის სამების ეზოში შეურაცხყოფა მიეყენებინა? წელს პრემიერი მხოლოდ რამდენიმე ადამიანის თანხლებით იყო მოსული. ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტი, თავის განცხადებაში ერთ სიტყვასაც რომ არ ამბობს, რომ პატრიარქს, ფაქტობრივად, თავს დაესხნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს, იმ დროს, როცა, საქართველოს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი ჯუზეპე პაზოტო აკეთებს განცხადებას, რომ პატრიარქმა აბსოლუტურად სწორი აქცენტები დასვა ეპისტოლეშიო. დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს არ დარჩა შეუმჩნეველი პრემიერს. გარდა ამისა, მარგველაშვილს კი ჰქვია პრეზიდენტი, მაგრამ სადღაც მიმალულია. მესმის, კანონმდებლობით მას ფუნქციები შემცირებული აქვს, მაგრამ, შე დალოცვილო, თუ ხალხმა აგირჩია და ფულს გიხდის, არ უნდა ჩანდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ხარ ჩართული?

**— წელან თქვით, რომ პრეზიდენტს ლიბერალური იდეები აქვს და უთანხმოება ამ საკითხთან დაკავშირებითაც ხომ არ წარმოიქმნა მათ შორის?**

– ზოგადად, მათი მსოფლმხედველობაც ძალზე განსხვავდება ერთმანეთისგან. როცა საპრეზიდენტო მარათონი მიმდინარეობდა, იქ რამდენჯერმე გამოჩნდა პრემიერი, მაგრამ იმის შემდეგ მე არ მახსენდება, პრეზიდენტი და პრემიერი სადმე ერთად ყოფილიყვნენ.



**„მისი განცხადებები გარკვეულწილად საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის. რადგანაც თურქეთი გყავს გვერდით და შენ რომ ამბობ, საქართველოში ისლამოფობიააო და მუსლიმანების უფლებები ირღვევაო, რა, ეს თურქეთს შეუმჩნეველი რჩება?!“**

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

## დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს



შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო. სამართალდამცველებმა 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მალხაზ ჯ. ნარკოდანაშაულისთვის ქუთაისში დააკავეს.

სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ნარკოტიკი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 7,28 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 5,2416 გრ ჰეროინს შეიცავს. შსს-ს ცნობით, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## უამინდობას მსხვერპლი მოჰყვა

აჭარის რეგიონში, მაჭახელას ხეობაში, „ნივის“ მარკის ავტომობილის გზიდან გადავარდნას მამაკაცი ემსხვერპლა. აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა თურმანიძის განცხადებით, უბედური შემთხვევა უამინდობამ და ძლიერმა ქარმა გამოიწვია.

„მეწყერი ჩამოწვა ხულოსა და ქედაში, რამაც ბათუმიადიგენის ცენტრალური მაგისტრალის პარალიზება გამოიწვია. გზიდან გადავარდა „ნივა“. ოთხი მგზავრიდან ერთი, 80 წლის ამირან ზაქარაძე გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენი მგზავრების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“, – აღნიშნა თურმანიძემ.

მისივე თქმით, ქარბუქი იყო ხულოს მუნიციპალიტეტში, ხოლო აჭარის სხვა რაიონებში – ძლიერი წვიმა და ქარი. მახინჯაურში ძლიერმა ქარმა ორ საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისი და გუანგჯოუ ითანამშრომლებენ



თბილისის საკრებულოსა და ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქ გუანგჯოუს შორის ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების მემორანდუმი გაფორმდა.

„აღნიშნული დოკუმენტი ქმნის იმის საფუძველს, რომ ქართულ და ჩინურ მხარეებს შორის ჩამოყალიბდეს მყარი ეკონომიკური კავშირები, რაც თავისთავად ნიშნავს ტურიზმის, ინფრასტრუქტურული პროექტების, ქალაქგეგმარების კუთხით და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ორ ქალაქს და ორ ქვეყანას შორის აქტიურ თანამშრომლობას“, – განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

ვიზიტის ფარგლებში ქართული მხარე გუანდუნის პროვინციის ხელმძღვანელობასაც შეხვდება.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით ჩინურ მხარეს მიეწოდა წინადადება, მიმდინარე წელს თბილისსა და უანგუოუში განხორციელდეს ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო გამოფენები, რომელთა მიზანი ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლის გაზრდა და ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავება იქნება. (ინტერპრესნიუსი)

## ოპერის თეატრში აუდიტი აღარ ჩატარდება?



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის აუდიტი შესაძლოა, აღარ განხორციელდეს. კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას განცხადებით, საჭიროა, შეიქმნას კომისია, რომელიც ოპერის თეატრში გარკვეული დროის განმავლობაში იმუშავებს, თუმცა, შესაძლოა, აუდიტის ჩატარება საჭირო აღარც იყოს.

გურამ ოდიშარიამ კომენტარი გააკეთა ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელის, გიორგი ჟორდანიას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებაზე. მისი თქმით, წლევანდელი წელი ოპერის წელია და ძალიან მნიშვნელოვანია ოპერის ხვალინდელი დღე.

ოდიშარიას თქმით, შესაძლოა, სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად შიდა არჩევნები ჩატარდეს და მან გიორგი ჟორდანიას სთხოვა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

„არსებული კანონმდებლობით, სამხატვრო ხელმძღვანელს მინისტრი ნიშნავს. მას ჰყავს თავისი საკონსულტაციო საბჭო, მაგრამ ამავე დროს დასის აზრი ძალიან მაინტერესებს, ეს ყველაფერი ჯერ დახვეწილი არ არის, დილიდანვე დავიწყებთ მუშაობას“, – განაცხადა ოდიშარიამ. (ინტერპრესნიუსი)

## მომსახურების სააგენტოს ვადებსა და ღირებულებაში ცვლილებები შევიდა



მომსახურების სააგენტოში სხვადასხვა ცნობის გაცემის ვადებსა და ღირებულებაში ცვლილებები შევიდა. იცვლება საინფორმაციო მომსახურების ვადები და ღირებულება. კერძოდ, დაინტერესებულ პირს ნასამართლობის შესახებ ცნობის მიღება შეეძლება 1 სამუშაო დღის შემდეგ 25 ლარად, 3 სამუშაო დღის შემდეგ – 15 ლარად, ხოლო აღნიშნული ცნობის გაცემა 5 სამუშაო დღის შემდეგ უფასოა.

შსს-ს ცნობით, ცვლილებები ასევე შეეხო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით საქართველოს შსს-ს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობების დაჩქარებული წესით გაცემის ვადებსა და ღირებულებას: 1 სამუშაო დღის შემდეგ – 25 ლარი, 3 სამუშაო დღის შემდეგ – 15 ლარი, ხოლო აღნიშნული ცნობების არადაჩქარებული წესით გაცემის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და გაიცემა 5 სამუშაო დღის შემდეგ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება დაიწყო?

მეშვიდე გვერდიდან

მათი ფუნქციებიც სხვადასხვაა და ბუნებრივია, ერთად ისედაც ვერ იქნებიან, მაგრამ საქმეში ერთიანობა არ ჩანს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მათ შორის არსებული ინტრიგები დავინახოთ, მაგრამ გარკვეული შტრიხები იკვეთება. ისე, როგორც „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც თამარ კორძაია წამოაყენა მაჟორიტარ დეპუტატად ნაძალადევში, ისე შეცდნენ მარგველაშვილის შემთხვევაშიც. კორძაიამ პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ შეურაცხრიაა და ვისაც ასეთი მეგობრები ჰყავს, ცოტა არ იყოს, ჩემთვის მიუღებელია.

**— ცნობილია, რომ არასამთავრობოები ახალი კანონის შექმნაზე მუშაობდით, რა კანონია?**

– ათმა საკმაოდ ცნობილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია და მოვუწოდეთ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ მან დაავალოს შესაბამის სამინისტროს და ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რათა მოამზადოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმადაც, რელიგიური სიწმინდეების, ღვთისმსახურის მიმა-



ყოფა მიაყენა საპატრიარქოს და მართლმადიდებელ მრევლს. მარგველაშვილის არჩევიდან კი სულ ორი თვეა გასული და მან უკვე რამდენიმე არასასიამოვნო განცხადება გააკეთა, ასევე მისი ქმედებებიც არაადეკვატურია. მისი სიტყვებია, კოჰაბიტაცია დასრულდებაო და დღეს სულ სხვა რამეს ამბობს. ხომ გაგიგიათ, – მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, შენ ვინა ხარო და მარგველაშვილის მეგობარი კი გიგა ბოკერთ დამამცირებელი ქმედება, რელიგიური შეღლისა და სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა, ან მოწოდება ამგვარი ქმედებისკენ, რელიგიური შენობების, სიწმინდეების წაბილწვა, ან მათი დაზიანება შეფასდეს დიდი დაჯარიმებით, ხოლო განმეორებითი ქმედების შემთხვევაში, ამის ჩამდენს შეეფარდოს 15 დღე ადმინისტრაციული სასჯელი. აი, ამ კანონის მიღებისკენ მოვუწოდეთ ჩვენ პრემიერს, რადგან ამ კანონის მიხედვით



არა მარტო ეკლესიას დავიცავთ, არამედ ყველა კონფესიის წარმომადგენელს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველა კონფესია, გარდა ბაპტისტურ- ევანგელისტურისა, რომელიც გარკვეულ ორაზროვან განცხადებას აქვეყნებს, იზიარებდა ამ აზრს, რომ ეს კანონპროექტი ყოფილიყო მიღებული, მაგრამ საქართველოში მოქმედ რამდენიმე ორგანიზაციას და ჩემთვის გასაკვირად, სახალხო დამცველსაც, არ სურთ აღნიშნული კანონპროექტის მიღება. სწორედ მათი ამდაგვარი პოზიციის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიხმო პარლამენტიდან ეს კანონპროექტი უკან.

**— ნანუაშვილს რაღა უნდოდა?**

– ნანუაშვილის განცხადებაა ერთიერთში ემთხვევა „ლგბტ“-ს განცხადებებს. ეს განცხადებები იდენტურია, ეს ადამიანი სულ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში არის ისლამოფობია. სხვათა შორის, მისი განცხადებები გარკვეულწილად საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის. რადგანაც თურქეთი გყავს გვერდით და შენ რომ ამბობ, საქართველოში ისლამოფობიააო და მუსლიმანების უფლებები ირღვევაო, რა, ეს თურქეთს შეუმჩნეველი რჩება?! და სად ირღვევა ეს უფლებები, მინარეთის მოხსნა რომ კანონდარღვევით მოხდა? მაგრამ ფული მოდის იმაზე, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ლანძღონ და აგინონ და მღვდლებს შეურაცხყოფა მიაყენონ. ფაშისტებს ეძახი მღვდლებს, ეს სწორია?!. ირანმა, ლამის ომი დაუწყო დანიას, რადგანაც ერთ-ერთ დანიურ გაზეთში კარიკატურა დაიხატა მუჰამედის და დანიამ ბოდიში მოიხადა სახალხოდ. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, ადამიანების გამოხატვის უფლებები უნდა იყოს დაცულიო. შე დალოცვილო, გამოხატვის უფლება კი უნდა დავიცვათ, მაგრამ შენ ამით შეურაცხყოფა არ უნდა მომაყენო. გამოდის, რომ ხალხი ლანძღავს ეკლესიასა და პატრიარქს და აი, ამაზე ვამბობ, რომ მივიღოთ კანონი, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. ისე, გვაინტერესებს, რას უხდიან ამ ხალხს ამდენს, რომ შუბლზე ძარღვი გაიწყვიტეს და არაფერი წმინდა მათთვის არ დარჩა.

**— თქვენ თქვით, რომ ეს კანონპროექტი უკან გაიწვია შინაგან საქმეთა სამინისტრომ...**

– (მაწყვეტინებს) გაიწვევდა, აბა, რას იზამდა, ისეთი ამბავი ატყდა. ჩვენ მოვუწოდებთ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ საქართველოში უპირატესი ჯერ ქართველი ხალხია და არ შეიძლება ერთი ჯგუფის ან ადამიანების ინტერესებს გადავაყოლოთ მთელი ქვეყანა.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთწლიანი მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის გავლენისგან განთავისუფლდა.

ანგარიში მოიცავს საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესების მონიტორინგს 2013 წლის 15 იანვრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესების მონიტორინგი ხდებოდა ისეთ საქმეებზე, როგორიც არის: ბაჩანა ახალაიას, ვანო მერაბიშვილის, მეგის ქარდავას, თენგიზ გუნავას, დათა ახალაიასა და სხვა მაღალჩინოსანთა პროცესები. ყველა პროცესზე სიტყვიერი ჩაწერა და მონიტორინგი კეთდებოდა. ცენტრმა 9 რეკომენდაცია შეიმუშავა და გამოავლინა ასევე დარღვევები. ეს დარღვევები არის საშუალო სიმძიმის და სისტემატური ხასიათი არ ჰქონია.

აღნიშნულ პერიოდში მხარეთა თანასწორობისა და შედარებითობის პრინციპი ძირითადად სასამართლო პროცესებზე დაცული იყო. დაცვასა და ბრალდებას თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად, თუმცა ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესებზე პრობლემებს წარმოადგენდა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, ე.წ. სამხედროების წამების და ე.წ. 7 სპეცრაზმელის საქმეზე.

ასევე, ერთ-ერთ საქმეში საჯარო სასამართლო პროცესები შეიცავდა მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი, მათ შორის სექსუალური ხასიათის ქმედების დეტალურ აღწერას. ცენტრი მიიჩნევს, რომ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით გარდაცვლილი პირის ღირსება და პირადი ცხოვრების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო და ამ სასამართლო პროცესების დახურვა კანონმდებლობით მოსამართლეს შეეძლო.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობის დარღვევებია ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე, ბრალდებულ გიგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვების გადაწყვეტილება კი მოკლებული იყო სათანადო სამართლებრივ დასაბუთებას. მსგავსი სახის მძიმე დანაშაულებებში ბრალდებული პირის აღმკვეთი ღონისძიების გარეშე დატოვება წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას. (ინტერპრესნიუსი)

## „მაკდონალდსი“ გაუგებრობაში მოყვაო...



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი „მაკდონალდსის“ ოფიციალურ გვერდზე აფხაზეთში შესვლის სურვილს გარკვეულ გაუგებრობას უკავშირებს. მისი თქმით, ეს თემა უკვე ამოწურულია.

„როდესაც აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, მაშინაც შეიძლება არ აშენდეს, ვიდრე ჭყონია არ გასცემს განკარგულებას, იმდენად დაცულია ბიზნესინტერესები. დარწმუნებული ვარ, იქ მოხდა გარკვეული გაუგებრობა და როგორც მე ვიცი, გამოსწორებულია. იქ საუბარი არ იყო ბიზნესის წარმოების დაწყების შესაძლებლობაზე“, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ამასთანავე, სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რაიმე სახის ბიზნესის გაკეთებას „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი კრძალავს და რომც დაეწყოთ „მაკდონალდსის“ მშენებლობა, ამ კანონს აუცილებლად წააწყდებოდნენ. (ინტერპრესნიუსი)

# რა სკანდალის აგორება არ აწყობს ირაკლი ღარიბაშვილს?



**„ალიას“ კითხვებს „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა კახიშვილი პასუხობს:**

**— „ნაცმოძრაობის“ წევრები უკვე შეტევაზე გადავიდნენ და ყოველდღე ლანძღავენ ხელისუფლებას, თუ რა არადემოკრატიულად მიჰყავს პოზიციის ადეკვატურად არ მიმდინარეობს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, გვიანდება სამართლიანობის აღდგენა. რატომ?**

– სამართლიანობის აღდგენა არ ნიშნავს ორი-სამი სანახაობის დადგმას, რომელზეც საბოლოოდ შესაძლებელია, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგეს. სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს ელემენტარულად კანონის შესრულებას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ რამდენიმე ადამიანია, რომელიც თვითონ „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ გაწირა და ამ ადამიანებზე გახმაურებულ საქმეებზე, სადაც ვიცით, რომ მონაწილეთა წრე იყო ფართო, ამ დროს მხოლოდ ორი ადამიანისთვის ბრალის დამძიმება არ ვფიქრობ, რომ სამართლიანობის აღდგენაა.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილს სადავეები ხელიდან გაექცა და თუნდაც შიდა საბოტაჟის გამო არ იძენს სამართლიანობის აღდგენა ფართო მასშტაბებს. გვახსოვს, როგორ ჰყავდა პროკურატურას კონსულტანტად დამნაშავე დავით ჩხატარაშვილი.**

– თქვენ გჯერათ რომ ჩხატარაშვილის შესახებ არაფერი იცოდა, გნებავთ ივანიშვილმა ან შს მაშინდელმა მინისტრმა ღარიბაშვილმა? დათო ჩხატარაშვილი როდესაც კონსულტანტი იყო, მთელი ერთი წლის განმავლობაში, მარტო მე, სხვაზე აღარ ვსაუბრობ გარემოში არ არის, რადგან მთავრობა მას არ დაუკომპლექტებია და ეს შეიძლება გარვეულ დაბრკოლებას ქმნიდეს. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს არის დროის ამბავი და რაღაც პერიოდის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი მიიღებს საკადრო ცვლილებების გადაწყვეტილებას. ის, რომ ღარიბაშვილისთვის მუშაობა რთულია, მისი განცხადებაც ადასტურებს მთავრობის სხდომაზე, როცა უსაყვედურა მინისტრებს, რომ მათ შორის კოორდინაცია არ არსებობს. რეალურად კოორდინაცია არა მხოლოდ მინისტრებს შორის, არამედ მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორისაც არ არსებობს. ზოგ შემთხვევაში იკვეთება ტენდენცია, რომ კოორდინაცია საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის უფრო მეტად არის, ვიდრე უმრავლესობასა და მთავრობას შორის, ამიტომ, ბუნებრივია, მოუწევს ირაკლი ღარიბაშვილს კონკრეტული საკადრო გადაწყვეტილებების მიღება და ლოგიკური ანალიზის მიხედვით, ეს თვითმმართველობის არჩევნებამდე მოხდება.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრს ვურჩევდი, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს და დიდი დაკვირვება გამოიჩინოს საკადრო ცვლილებების დროს. მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდგომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები დარჩნენ საჯარო სამსახურებში და დღეს თუკი საჯარო მოხელეები უცინიან ახალ ხელისუფლებას და რჩევებს აძლევენ, სულაც არ ნიშნავს, რომ, როცა დრო მოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ

**პროცესები, როგორ უკანონოდ იქცევა და ა.შ. რა ხდება, რატომ აძლევს ხელისუფლება ამ განცხადებების გაკეთების საფუძველს?**

– ასეა, „ნაციონალური მოძრაობა“ შეტევაზეა გადასული. პირველი ორი-სამი თვე იყვნენ დაბნეულობის რეჟიმში, ელოდებოდნენ, რომ მათ ისევე მოექცეოდნენ, როგორც თავის დროზე „ნაციონალები“ შევარდნაძის მთავრობის წევრებს მოექცნენ. როდესაც ნახეს, რომ მიდგომა არის ცივილიზებული და ზოგ შემთხვევაში დაგვიანებულიც, გადავიდნენ შეტევაზე და ერთი წლის განმავლობაში მუდმივად თავის მართლების რეჟიმში ჰყავთ ხელისუფლება. ამას დიდწილად ხელი შეუწყო „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც აღიარეს, რომ მათი მთავარი ოპონენტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და სხვა პოლიტიკური პარტიები ქვეყანაში არ არსებობს.

**— დაშვებული შეცდომების საფასური რა იქნება ხელისუფლებისთვის?**

– პოლიტიკური კრიზისის ნიშნები შეიძლება შეიქმნას ქვეყანაში, რადგან ვხედავთ, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის განცხადებები არ არის ბოლომდე კომპეტენტური და კვალიფიციური და ზოგ განცხადებას შემდეგ ხუთი დღე სჭირდება, რომ მთელმა კოალიციამ განუმარტოს საზოგადოებას, რას გულისხმობდნენ წინა განცხადებაში. ამასობაში „ნაციონალები“ იღებენ ინიციატივას, მე ვერ ვიტყვი, რომ ძლიერდებიან, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ თვითონვე ვერ წარმოიდგენდა, რომ არჩევნებში წაგების შემდეგ აღმოჩნდებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ თვითონვე იქნებოდნენ ერთ-ერთი წარმმართველი ძალა პოლიტიკური პროცესებისა. წარმოიდგინეთ, რა ბედი ეწეოდათ, მათნაირი პარტია რომ მოსულიყო ხელისუფლებაში.

**— ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლის შემდგომ სადავეები ხელში აიღო ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელსაც სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით ისეთივე პოზიცია აქვს, როგორიც საზოგადოების დიდ ნაწილს, თუმცა მისი** ხდება ძირითადად აქცენტების გაკეთება, თითქოსდა მათ მოღვაწეობას უკავშირდება მთელი ის პროცესი, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საუბრობენ თითქოს პროკურატურა აქტიურად იძიებს ყველა საქმეს, ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითადად ბრიფინგები ტარდება ბაჩო ახალაიასა და მეგის ქარდავას ბრალის დამძიმების გამო. თუნდაც ისეთ ბევრჯერ გამიკეთებია განცხადება, მათ შორის ბიძინა ივანიშვილსაც მოვახსენე იმასთან დაკავშირებით, რაც პროკურატურაში ხდებოდა. რომ ჩხატარაშვილი მართავდა სიტუაციას და უწყებაში აბრუნებდა „ნაციონალების“ კადრებს, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, რა თქმა უნდა, ის ბოლომდე კომფორტულ



*გაგრძელება მეათე გვერდზე*

## გადამზიდავებს ისევ პრობლემები აქვთ

ფინანსთა მინისტრი გადამზიდავების მიმართ დაწესებული რეგულაციების მოქმედების გახანგრძლივებას ტექნიკური პროცედურებით ხსნის.

„ტექნიკურად გარკვეული საკითხების მოგვარება ვერ ესწრებოდა, შესაბამისად, რეგულაციების მოქმედება 20 იანვარს შეწყდება“, – განაცხადა ხადურმა.

მინისტრის ბრძანებას გადამზიდველების უფლებების დარღვევად აფასებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ გადამზიდველებს ხელი ეშლებათ თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში და იზრდება ის მატერიალური ზიანი, რაც ადგილობრივ გადამზიდველებს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით მიადგათ.

„გაურკვეველია, რა საფუძვლითა და მიზეზით მოახდინა ფინანსთა მინისტრმა გადამზიდველების ინტერესების შემლახავი ბრძანების გაუქმების მორიგი გადავადება. დაუშვებელია სახელმწიფო უწყების მიერ ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების დროის მცირე მონაკვეთში, ინფორმაციის წინასწარ სათანადოდ გავრცელების გარეშე მიღება. მსგავსი ქმედებები ხელს უშლის სტაბილური გარემოს შექმნას და მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოების ნდობას სახელმწიფო უწყებების მიმართ“, – ნათქვამია განცხადებაში.

საუბარია ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის ბრძანებაზე, რომლითაც მეწარმეებს/გადამზიდველებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადატანასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დაუწესდათ; ადგილობრივი გადამზიდველები მიიჩნევენ, რომ ამ ბრძანების საფუძველზე „საქართველოს ფოსტა“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვინ ეწინააღმდეგება აეროპორტისთვის სახელის მინიჭებას?



„თავისუფალი საქართველო“ 31 იანვარს თბილისის საკრებულოს სხდომაზე თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვას მოითხოვს. პარტიის განცხადებით, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას ღარიბაშვილის მთავრობა ეწინააღმდეგება. პარტიის განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ინიციატივით კახა კუკავამ თბილისის საკრებულოს ორი წლის წინათ მიმართა. თუმცა საკითხი ჩავარდა. პარტიაში აცხადებენ, რომ ამის წინააღმდეგი მაშინ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება იყო.

„მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში უმრავლესობა შეიცვალა, უკვე საინიციატივო ჯგუფის სახელით განმეორებით მივმართეთ საკრებულოს ანალოგიური ინიციატივით. ამის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის თხოვნით საკითხის განხილვა 4-ჯერ გადაიდო. პარალელურად მუდამ ისმოდა დაპირება, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყდება, თუმცა აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება ამ დრომდე ხელოვნურად ჭიანურდება.

ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის და იმ ეროვნული ფასეულობების შეურაცხყოფა, რასაც ის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა. მით უფრო, სირცხვილია ამგვარი რამ, როცა დედაქალაქში არსებობს ჯორჯ ბუშის, ჰოლბრუკის, ალიევისა და კაჩინსკის ქუჩები, რეიგანის ძეგლი, სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორების პანთეონები. ფარისევლობაა ის, რომ სწორედ იმ დღეს, როცა საკითხის განხილვა მოიხსნა დღის წესრიგიდან, გიორგი მარგველაშვილი ზვიად გამსახურდიას საფლავზე ავიდა „პატივის მისაგებად“. მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ ხელისუფლების წევრებმა პომპეზურად აღნიშნეს გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას იუბილე, საინტერესოა, რომელიმე მათგანს თუ გაახსენდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის 75 წლის იუბილე“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## სოციალური პროექტების შეჩერება საბოტაჟია



თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშიას განცხადებით, თბილისის მერიის მთავრობის წევრების მიერ სოციალური პროექტების შეჩერებაზე საუბარი, სხვა არაფერია, თუ არა თბილისელთა მიმართ საბოტაჟი. მისი განცხადებით, სევდია უგრეხელიძის ღია წერილი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ არასერიოზულად უყურებდა მერია თბილისელთა პრობლემებს.

„მინდა შევახსენო თბილისელებს, რომ გასულ წელს, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, მერიას დაუხარჯავი 100 მილიონი ლარი დარჩა. თბილისის საკრებულო კონსულტაციებისთვის მზადაა, თუმცა საქმე აქაც დემაგოგიასთან გვაქვს. მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, საკრებულოში 2014 წლის იანვრის ხარჯვითი ნაწილის ჩაშლილი ვარიანტი არ შემოსულა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ უყურებს მერია თბილისელთა პრობლემებს“, – განმარტა სამუშიამ. (ინტერპრესნიუსი)

## აკრძალული საგნები უპოვეს



სასჯელაღსრულების №-5 დაწესებულებაში, მსჯავრდადებულ ლ.ხ.-ს საქართველოს სსკ-ის 3782-ე მუხლის პირველი ნაწილით, აკრძალული საგნების შენახვის ფაქტზე ბრალი წარედგინა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ცნობით, გამოძიების თანახმად, მსჯავრდადებული ლ.ხ. თავის საცხოვრებელ საკანში ფარულად ინახავდა უკანონოდ შეძენილ, კუსტარულად დამზადებულ აკრძალულ საგნებს – ბანქოსა და ლურსმანს, რომლებიც 2013 წლის 11 დეკემბერს, დაწესებულების თანამშრომლებმა საკნის შემოწმება-დათვალიერების დროს ამოიღეს.

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## ქორწინების რეგისტრაციის რაოდენობამ მოიმატა

გასულ წელს 34 394 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცნობით, საქართველოში ქორწინების რეგისტრაციის რაოდენობამ მოიმატა. კერძოდ, სააგენტოს სტატისტიკით, 2012 წელს 29 932 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა, 2011 წელს – 30 861, 2010 წელს – 34 449, 2009 – 31 796, ხოლო 2008 წელს 24 696 წყვილმა იქორწინა.

რაც შეეხება დაბადებას, 2013 წელს 57 860 ახალშობილი დაიბადა, 2012 წელს – 58 175, 2011 წელს – 59 381, 2010 წელს – 63 726, 2009 წელს – 63 806, ხოლო 2008 წელს – 57 976.

სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წელს საქართველოში ახალშობილთა ყველაზე გავრცელებული სახელები გიორგი და მარიამი იყო. (ინტერპრესნიუსი)

# რა სკანდალის აგორება არ აწყობს ირაკლი ღარიბაშვილს?

*მეცხრე გვერდიდან*

არ იმოქმედებენ. გახსოვთ გივი თარგამაძის განცადება იმასთან დაკავშირებით, ყოველდღე მატულობს ინფორმატორთა რიცხვი საჯარო სამსახურებიდანო. მე ამაში ეჭვი არ მეპარება. ეს არ არის მხოლოდ განცხადება, ეს რეალობაა. დარწმუნებული ვარ, შიდა პროცესებთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა“ ინფორმაციას ფლობს პირველი წყაროებიდან, რადგან „ნაციონალებიდან“ „ქართული ოცნების“ ნავში გადასკუპებული ადამიანები ისევ „ნაციონალებზე“ მუშაობენ. ამ მხრივ, თუ საკადრო პოლიტიკა არ შეიცვალა, ეს შეასუსტებს მთავრობას და ძალიან დიდი პრობლემებს შეუქმნის. ამ დროს ვფიქრობ, გამოსავალია პროფესიონალი კადრების მოძიება. შეხედეთ, რა ხდება, ცხადდება ფორმალურად კონკურსები და რეალურად ისევ ძველი კადრები აჰყავთ სამსახურში, პროფესიონალ ადამიანებს კი პერსპექტივაც არ აქვთ დასაქმების.

**— ისევ პროკურატურას დავუბრუნდეთ. სამართლიანობის აღდგენაში მას მთავარი როლი ენიჭება, თუმცა იქ პროცესები არასტაბილურად მიდის. ეს არ შეაფერხებს პროცესებს?**

– პროკურატურის მუშაობა ისედაც უკვე დიდი ხანია, შეფერხებულია. ზურაბ ადეიშვილის დროს დაიწყო პროკურატურის შესუსტება, მოხდა პროკურატურის დისკრედიტავარი პროკურორი, მნიშვნელოვანია, როგორ განისაზღვრება მისი ფუნქცია. პროკურატურა ახდენს კოორდინაციას სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ, მაგრამ ამავდროულად პროკურატურა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. მთავარი პროკურატურა ზედამხედველია იმ უწყებებისა, რომელთა ხელმძღვანელებიც არიან პირველი პირები. ასეთ დროს, როგორ ფიქრობთ, ექნება უწყებას საშუალება, სამართლებრივად იმოქმედოს? დავუშვათ, პროკურატურამ რომელიმე საგამოძიებო მოქმედების დროს გამოკვეთა რომელიმე სამინისტროში მინისტრის ან მისი მოადგილეების, ან ორივესი ერთად კორუფციული იქნა დაკავებული, ეს არ არის წარმატება, რადგან არსებითი განხილვის დროს შეიძლება დადგეს ამ პირების მიმართ გამამართლებელი განაჩენი. წარმატება მდგომარეობს, რა განაჩენი დადგება საბოლოოდ.

**— „ალიაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მთავარ პროკურორად სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ფერიაშვილის კანდიდატურა განიხილება. გუბერნატორთა უმრავ-**



**„დათო ჩხატარაშვილი რომ კონსულტანტი იყო, მთელი ერთი წლის განმავლობაში, ბიძინა ივანიშვილმაც იცოდა. ისიც იცოდა, რაც ხდებოდა პროკურატურაში, რომ ჩხატარაშვილი მართავდა სიტუაციას და უწყებაში აბრუნებდა „ნაციონალების“ კადრებს, მაგრამ რეაგირება არ ყოფილა“**



ცია და უწყების მონსტრად გადაქცევა. შემდეგ კბილაშვილის დროს გაგრძელდა ტენდენცია და „მონსტრი“ პროკურატურა გახდა უუნარო უწყება, ფარცხალაძის დანიშვნის შემდეგ მოხდა ისევ დისკრედიტაცია ამ უწყებისა. არ არის უმთავრესი, ვინ იქნება მთასაქმიანობა და ეს უნდა გადაწყვიტოს სამართლებრივად, მოახერხებს ამას? აწყობს მთავრობის მეთაურს ასეთი სკანდალის აგორება? ბუნებრივია, არ აწყობს, ამიტომაც ხდება პროკურატურის საქმიანობის შესუსტება ან მიმართულების შეცვლა. სასამართლოს უწყებაში რომ ყოფილიყო პროკურატურა, უფრო დამოუკიდებელი იქნებოდა და უფრო შედეგიანი მუშაობის მომსწრე გავხდებოდით. სანამ პროკურატურა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი, ყოველთვის იქნება ასოცირებული პოლიტიკასთან. რაც შეეხება კონკრეტული საქმეების გახსნას, ყველა პრაქტიკოსმა იურისტმა იცის, რომ, რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო მეტად ფუჭდება სისხლის სამართლის საქმე და შესაძლოა, სასამართლოში არანაირი პერსპექტივა აღარ ჰქონდეს. თუ ჩვენ პროკურატურის წარმატებულ მუშაობას ვეძახით იმას, რომ რამდენიმე პირი ფარცხალაძის პერიოდში **ლესობაც ყოფილი სამართალდამცავია. ეს არ ქმნის საფრთხეს, რომ პოლიციურ სახელმწიფოდ გარდავიქმნათ?**

– ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. მე ვადევნებ თვალს ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებებს და ვხედავ, რომ ის აკეთებს აქცენტს იმ უწყების კადრებზე, რომლის ხელმძღვანელიც იყო და მეტნაკლებად იცის მათ შესახებ. დრო გავა და თვითონ პრემიერ-მინისტრიც დარწმუნდება, რომ ეს პოლიტიკა შედეგს არ მოიტანს. თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას, ყველა პოლიტიკური პრობლემა იწყებოდა იმით, რომ ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნები შეგნებულად ხელს უწყობდნენ პოლიტიკურ პრობლემებს, ან შეგნებულად თამაშობდნენ ორ პოლიტიკურ პარტიაზე ერთდროულად. ამიტომ დღეს თუ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი გადაწყვეტს, რომ მხოლოდ იმ კადრებზე გააკეთოს აქცენტი, რომელიც მხოლოდ უშიშროებასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არიან დაკავშირებულნი, ის თვითონვე წააწყდება პრობლემას და დარწმუნდება, რომ კადრები, ვისზეც არჩევანი შეაჩერა, მის ნდობას ბოლომდე ვერ გაამართლებენ. ეს არის ძალიან სახიფათო პოლიტიკა პრემიერ-მინისტრის მხრიდან, რადგან ისტორიამ ცხადყო, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პრობლემები იწყება ძალოვნებიდან ან ყოფილი ძალოვნებიდან. როდესაც სახელისუფლებო ბერკეტებს აძლევ ყოფილ ძალოვნებს, უნდა იყო მზად იმისთვის, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა, იყოს ღალატი ან ღალატისთვის ხელშემწყობი გარემოებების შექმნა. ამის გაკეთება არ შეიძლება, დაუშვებელია. გარკვეული დროის შემდეგ ყველა დავრწმუნდებით და, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრი, რომ ეს არის მცდარი და ძალიან სარისკო პოლიტიკა.

»» შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჩინეთში ვიზიტის შეწყვეტისკენ მოუწოდებს



თბილისის საკრებულოს უმცირესობის წევრი თამაზ შოშიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილს ჩინეთში ვიზიტის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

არგუმენტად კი ის პრობლემები დაასახელა, რომლებსაც თბილისს 2014 წლის დაუმტკიცებელი ბიუჯეტი უქმნის.

„ბიუჯეტის ჩაგდების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარისგან თბილისელებმა მოისმინეს დაპირება, რომ იანვრის ბოლოს დედაქალაქის ბიუჯეტს მიიღებდნენ. ამის ნაცვლად ჩვენ დღეს გვაქვს სურათი, რომ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ასევე უმრავლესობის წევრები გრძელვადიან მივლინებაში იმყოფებიან. საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის არანაირი განხილვა არ ხდება. პროექტის განხილვამდე თბილისის მერიაში წარმოდგენილი შენიშვნებიდან თოთხმეტი მუხლი დაკმაყოფილდა. დანარჩენი ოთხის დაკმაყოფილება კი შეუძლებელია, რამდენადაც ეს თბილისის თვითმმართველობის ფუნქციებში არ შედის. აქედან გამომდინარე მივმართავთ მათ, რომ დედაქალაქში იქმნება საკმაოდ რთული მდგომარეობა და მოვუწოდებთ ირაკლი შიხიაშვილს, დაუბრუნდეს სამუშაო რეჟიმს, თბილისის საკრებულოს, რათა თბილისელებისთვის არ შეიქმნას პრობლემები“, – აღნიშნა შოშიაშვილმა.

უმცირესობის წევრის ამ განცხადებას საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირაშვილი გამოეხმაურა და დედაქალაქის მერია არასწორ მენეჯმენტში დაადანაშაულა.

„გასული წლის იანვარში გახარჯულია 35 მილიონ ლარამდე, წელს დედაქალაქის მერიას საშუალება აქვს, დახარჯოს 60 მილიონი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი. ვფიქრობ, ეს არის უფრო არაჯეროვანი მენეჯმენტის საკითხი მათი მხრიდან. თბილისის საკრებულომ სწორედ იმიტომ არ დაამტკიცა ბიუჯეტის პროექტი, რომ ის არ იყო გამჭვირვალე და ბევრ კითხვას ბადებდა. სამწუხაროდ, ეს დღემდე გრძელდება“, – აღნიშნა ხაჩირაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## კანდელაკმა გახმაურებულ საქმეებზე ინფორმაცია მიაწოდა




„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებს მათ თანაგუნდელებთან დაკავშირებულ გახმაურებულ საქმეებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

„ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან და პოლიტიკური ანგარიშსწორების კამპანიის ახალ ტალღასთან, რაც ქვეყნისთვის ძალიან საზიანოა. ვისაუბრეთ ბოლო ფაქტებზე, რომელიც უკავშირდება მერაბიშვილის გატაცებას, ასევე თბილისის არჩეული მერის სასამართლოს ზეწოლით გადაყენების გადაწყვეტილებას“, – განაცხადა დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# „ნაციონალებმა“ არჩევნებისთვის ახალი სქემა აამუშავეს


ელგუჯა ჩხაიძე

რა სქემა აამოქმედეს „ნაციონალებმა“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გასამარჯვებლად? ვინ უწყობს ხელს „ნაციონალებს“ რეანიმაციაში და გამოიწვევს თუ არა ეს ხალხის აზვირთებას? ვინ და რატომ წაახალისა სადამსჯელო ოპერაციების შემოქმედი პოლიციელები? რატომ მიიჩნევენ, რომ ახალ ხელისუფლებას ისინი სჭირდება და ამიტომ არც არასდროს გაუშვებენ მათ სამსახურებიდან? რატომ თვლიან „ნაციონალები“, რომ მათი დრო კი არ წავიდა, პირიქით, მოვიდა?

„ალიას“ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ელგუჯა ჩხაიძე ესაუბრა:

**— ბატონო ელგუჯა, როგორც მითხარით, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ „ქართული ოცნება“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის არა მხოლოდ პასიურობს, არამედ „ჩახსნა“ კიდეც თავისი წარმომადგენლები, რომ „ნაციონალებს“ პოლიტიკური ბრძოლა გაუადვილდეთ. რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

– მოგახსენებთ. ადამიანებს, რომლებიც არჩევნების დროს გვერდში გვედგნენ, გამოხატავდნენ უნდობლობას ყოფილი ხელისუფლების მიმართ და აქტიურად მუშაობდნენ რეჟიმის შესაცვლელად, თუ ამ ხალხს, რომელთაც არც ნიჭი აკლიათ და არც პროფესიონალი, არ მისცემენ საშუალებას, ჩაერთონ ადგილობრივი თვითმმართველობის



საქმეებში, განაწყენებულის პოზიციიდან მათგან დიდ დარტყმებს მივიღებთ. უკმაყოფილება იმდენად მოიმატებს, რომ არჩევნებამდე მისვლა გაჭირდება. მით უმეტეს, როცა ჩასაფრებულია ძალა, რომელიც ორიენტირებულია ამ არჩევნებზე. გვესმის ისიც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში არ მოიპოვება იმდენი ადგილი, რომ ყველა მებრძოლი დასაქმდეს და გააძლიეროს სტრუქტურა, მაგრამ ვინც ადგილობრივი თვითმმართველობა კარგად იცის, შეიძლება მათი გამოყენება, რომ არ დავუშვათ წინა ხელისუფლების მობრუნება, ეს ახალი ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს. ასე თუ გაგრძელდა, ცუდ რეალობასაც მივიღებთ და ხალხის მეტ აგრესიასაც, რომელსაც ხელისუფლება ვერ მოერევა. განაწყენებული ადამიანი რას იზამს, ამას ვერ გააკონტროლებ.

**— ადგილობრივ დონეზე ხელისუფლებამ შეცვალა კადრები წამყვან თანამდებობაზე, მაგრამ თქვენგან ვიცი, რომ, მაგალითად, გურიაში ახალი დანიშნული პოლიციის უფროსიც კი დააქვეითეს და ტენდენცია გრძელდება, ან უშვებენ ახალ კადრებს, ან „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელ კადრებს აწინაურებენ. ეს რატომ ხდება?**

– ტენდენცია ასეთია. როცა პოლიციელებთან მქონდა დაპირისპირება, იცით, რას მეუბნებოდნენ? ჩვენ არც ერთი ხელისუფლება არ მოგვიშორებს, ყველას დავჭირდებითო.

**— რას გულისხმობდნენ?**

– ისინი ისეთი მეთოდით მუშაობდნენ წინა ხელისუფლების დროს, რომ მიაჩნდათ, ახალი ხელისუფლებაც არ იტყოდა უარს ამ მეთოდების გამოყენებაზე ხალხთან საურთიერთოდ. რა გამოდის? ძალადობა ყველა ხელისუფლებას სჭირდება? თუ „ოცნება“ ძალადობრივ მეთოდებს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად? გურიის სამხარეო პოლიციის უფროსი, რომელიც მთელი არჩევნების წინა პერიოდში „ნაციონალების“ კოორდინატორის როლს ასრულებდა, ისევ პოლიციის უფროსია. ეს იცით, ვინაა? 30 სექტემბერს ხალხს ურეკავდა და 2 ოქტომბერს იბარებდა პოლიციაში, ანგარიშები რომ გაესწორებინა მათთვის და კი არ დაისაჯა, პირიქით, წახალისდა.

**— თქვენც ხომ დაგაკავეს? რა მიზეზით?**

– დიახ, პირადად გურიის სამხარეოს უფროსი და მისი ორი მოადგილე ნადირობდნენ ჩემზე. დავით ცირეკიძე, ალეკო ბირთველიშვილი და ლაშა ჩიკვილაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ იმას, რომ ჩემთვის იარაღი ჩაედოთ, ოჯახი ამიწიოკეს, შვილს ნარკოტიკი ჩაუდეს და წლების მანძილზე არ გამახარეს. ეს

*გაგრძელება მეთოთხმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს



სოფლის მეურნეობის სამინისტრო თებერვლიდან მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის განხორციელებას იწყებს. მინისტრ შალვა ფიფიას განცხადებით, პროექტის მიზანია მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირება და მათთვის რთულ და შრომატევად ხვნის პროცესში ხელშეწყობა. მინისტრის განმარტებით, უწყებამ 2013 წლის გამოცდილება გაითვალისწინა და პროექტის ფარგლებში წელს ქვეყნის მასშტაბით 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს ხელშეწყობას.

„გასულ წელს ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ვერ მოხვდა პროექტში. წელს ეს გავითვალისწინეთ და ყველა მიწის მესაკუთრე, ვინც ფლობს 1,25 ჰექტარს და ნაკლებს ამ დახმარებას მიიღებს. თბილისისა და ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებზე შემოერთებული სოფლების მოსახლეობა, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ასევე მიიღებენ ხელშეწყობას. ამის შესახებ უკვე ვაცნობეთ თბილისის საკრებულოს და აჭარის მთავრობას“, – განაცხადა ფიფიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ცნობით, დაგეგმილია მრავალი ინოვაციაც, კერძოდ, ხვნის ბარათის გარდა, მიწის მესაკუთრეები მრავალჯერადი პლასტიკური აგრობარათით ისარგებლებენ, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს მიიღებენ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სევდია უგრეხელიძე კონსულტაციებს ითხოვს



თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის განცხადებით, საკრებულოს უმრავლესობამ უნდა გაითვალისწინოს მოქალაქეების ინტერესები. უგრეხელიძე საკრებულოს უმრავლესობას 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით კონსულტაციებისკენაც მოუწოდებს.

„წერილით მივმართეთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს იმასთან დაკავშირებით, რა პრობლემებს უქმნის ქალაქს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა. საფრთხის ქვეშ დადგა მთელი რიგი პროექტები და პრიორიტეტები. პირველ რიგში, ეს ეხება ახალი ავტობუსების შეძენას, იძულებულები ვიყავით, ტენდერი შეგვეწყვიტა, რადგან 1/12 არ ჰყოფნიდა პირველადი ხარჯების გაწევას. მიუხედავად ყველა რესურსის მობილიზებისა, ასევე საფრთხის ქვეშ დგება მთელი რიგი პრიორიტეტები, როგორიც არის, მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიც არის დასუფთავების მოსაკრებელი, საბავშვო ბაღების დაფინანსება და ა.შ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს წერილზე იქნება რეაგირება. ვშიშობთ, საფრთხის ქვეშ არ დადგეს თბილისის მცხოვრებთათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების დაფინანსება და არ დაგვჭირდეს არჩევანის გაკეთება კომუნალურ ვაუჩერს, სატრანსპორტო შეღავათებსა და სხვა სოციალურ დახმარებებს შორის. იმედი გვაქვს, რომ საკრებულოს უმრავლესობა გაითვალისწინებს მოქალაქეების ინტერესებს და უახლოეს მომავალში დაგეგმავს შეხვედრებს, რათა შევჯერდეთ ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა უგრეხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ვიდეოპაემნები უფასო იქნება



საქართველოს სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის ინიციატივით, ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით მოქალაქეები ვიდეოპაემნის სერვისით უფასოდ ისარგებლებენ.

უწყების ცნობით, თბილისის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის, ბათუმისა და გორის პრობაციის ოფისებში ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ქალთა №5 დაწესებულება, არასრულწლოვანთა №11 სპეციალური დაწესებულება, ქსნის №15 დაწესებულება, რუსთავის №17 დაწესებულება) მყოფ ახლობლებს გადასახადის გადახდის გარეშე დაუკავშირდებიან.

„მოქმედი კანონმდებლობით, ვიდეოპაემნით სარგებლობა, მსჯავრდადებულის თანხმობის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს. სერვისის ხანგრძლივობა 15 წუთია. ვიდეოპაემნის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეებმა პრობაციის ბიუროებში წინასწარ უნდა შეავსონ განაცხადი“, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)

მეთერთმეტე გვერდიდან

ადამიანები დღეს მაღალ თანამდებობაზე იმყოფებიან, ერთი კი, ლაშა ჩხაიძე ქობულეთში გადაიყვანეს და იქ დანიშნეს. ლაშა ჩხაიძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩემი შვილის საქმეს. არადა, რისთვის გადამეკიდნენ, იცით? ბიძინა ივანიშვილის რაც გამოიხატა ნარკოტიკების ჩადებით, იარაღის ჩადებით, არჩევნების წინა დღეებში მანქანების წართმევით, არ უნდა დაისაჯონ? ამას სჩადიოდნენ დავით იმნაძე, ლაშა ჩხაიძე, ლაშა ქირია, შმაგი ურატაძე, მალხაზ ჩხაიძე... ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე და მკაცრად დაისაჯონ. თქვენ, ალბათ, გინახავთ „ბოევიკური" ფილმები. იქ, სადაც კანონი არ კანონობს, ზემოდასახელებული ნაძირალა პოლიციელების მსგავსებს სხვანაირად უსწორდებიან. 22-თვიანი სასამართლოს შემდეგ თუ მე იარაღის საქმეში უდანაშაულოდ მცნეს, ის რატომ არ გამოიძიეს, როგორ აღმოჩნდა იარაღზე ჩემი თითის ანაბეჭდები? რა სახის იძულებას ჰქონდა ხმას. ჰოდა, ასეთი ადამიანი რომ მოგყავს ხელისუფლებაში, უკვე მოგყავს მისი პარტიაც. „ნაციონალები" ფსონს დადებენ ასეთ პიროვნულ ფაქტორებზე. კანონზომიერია, რომ ასეთი ადამიანები მოხვდებიან თვითმმარ-



გრამ ყველა თუ გავჩუმდით, შევეგუოთ ამ რეალობას?

**— სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან მტკივნეულია, მაგრამ რას ელოდება საზოგადოება რეგიონებში?**

– დედაქალაქიდან კი არა, რეგიონებიდან უნდა დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა. უნდა გაირკვეს, ადგილობრივ დონეზე ვინ

# „ნაციონალებმა" არჩევნებისთვის ახალი სქემა აამუშავეს



მოქალაქეობასთან დაკავშირებით ხელმოწერებს ვაგროვებდი და რომ დავამთავრე, მერე დაიწყეს ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ. აი, ასეთი ხალხი მოვიდა ივანიშვილის ხელისუფლებაში ისევ.

ლაშა ქირია, რომელმაც იარაღი ჩამიდო, გორის პოლიციაშია. ასეთი სამართლიანობის აღდგენას ველოდით ჩვენ? ამდენი ხალხი ვიყავით გამწარებული და ვართ ისევ. ახლა ახალ ხელისუფლებას თუ ეშინია იმის, რომ კომპენსაციას მოვითხოვთ, შეუძლია, მშვიდად იყოს, ოღონდ სამართლიანობა აღადგინონ და არანაირი კომპენსაცია არ გვინდა. ყველაზე დიდი კომპენსაცია არის ჩვენთვის, ესენი მისცენ პასუხისგებაში. პროკურატურამ მაინც დაიწყოს საქმის ძიება, რომ იმედი მოგვეცეს. ის პოლიციელები, ვინც უკანონო ქმედებებით გამოირჩეოდნენ, ადგილი?

**— ანუ რა გამოდის, ყველა სტრუქტურა „ნაციონალებს" ხელს აფარებს, თუმცა საქმეში უდანაშაულოდ გცნობენ? ანუ კანონს სანახევროდ იცავენ?**

– დიახ. როცა დიდი მუხტი წამოვა უკმაყოფილების, მერე რას იზამენ? ახლა მეტყვიან, კადრები არ გვყავსო. რომ მოდიოდი ხელისუფლებაში, არ იცოდი, რა კადრები გყავდა? ახლა აღმოჩნდა, რომ არ გვყავს კადრები? გურიის პროკურორი რომ დააბრუნეს თანამდებობაზე, სხვებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ვერ შეეწყვნენ და გაუშვეს სამსახურებიდან, რატომ არ აბრუნებენ? ბევრი ასეთი კადრი ზის სახლში. რატომ გვაქვს კადრების პრობლემა? კი, ბატონო, ხმას არ ამოვიღებ, თუ ქვეყანას სჭირდება, მაემუქრებოდა, ვინ აიძულებდა და რას აკეთებდნენ ის ადამიანები, რომლებიც მოსახლეობას ატერორებდნენ „ნაციონალებისთვის" ხმის მიცემის სანაცვლოდ. აქედან დაიწყება გასვლა ადეიშვილსა და მერაბიშვილზე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენ რამეს აღმოაჩენენ გურიის პოლიციაში. აქ გაარკვევენ, ვინ იძლეოდა მითითებებს და კუდი რას აკეთებდა. ხალხი იკარგებოდა გურიაში, იცით? ხალხი თუ ვერ მოიპოვებს სამართლიანობას, უკმაყოფილება სახიფათო სახეს მიიღებს.

**— „ნაციონალები" გააქტიურდნენ საარჩევნოდ. რა სახის სქემა აამუშავეს არჩევნებისთვის, ხომ არ იცით?**

– „ნაციონალებს" მუშაობა ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ, პირიქით, სულ მუშაობენ. რეგიონებში ის პირები, რომლებიც თანხას ურიგებდნენ ამომრჩევლებს, ატერორებდნენ ან სხვა სახის ზეწოლას ახორციელებდნენ, უკვე გავშიფრეთ და არ ვიკარებთ გვერდით. მაინც არიან ისეთი ადამიანები, ვინც ამართლებენ სააკაშვილისა და ადეიშვილის ქმედებას. ამ ხალხს თუ ციხეში არ ჩავყრით, ხომ უნდა მოვიშოროთ მაინც, მაგრამ სადაა სამართლიანობა? ხალხთან რომ გავდივართ, გვადანაშაულებენ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობაში და ჩვენ მიმართ ნდობაც იკარგება. ზოგი იმასაც გვეუბნება, „ნაციონალებმა" ჯადო ხომ არ გაგიკეთესო. ხალხი ითხოვს „ნაციონალების" მოსპობას ყველა სტრუქტურიდან. ძალოვანი სტრუქტურები იყვნენ გამაუბედურებელი ძალა, მაგათ მიჰყავდათ „პარადი" და ისევ ესენი არიან კომფორტში. „ნაციონალებს" ველაპარაკებოდი გუშინ და კმაყოფილებას გამოხატავდნენ, რა კარგად ჩატარდა არჩევნებიო. ესენი კი არიან კმაყოფილები, მაგრამ ხალხმა ვერანაირი ცვლილება ვერ იგრძნო.

**— ხალხის ეს უკმაყოფილება ხომ არ დააბრუნებს „ნაციონალებს"?**

– უახლოეს ხანებში ეს შეუძლებელია, მაგრამ „ნაციონალებმა" ახალი სქემით დაიწყეს ბრძოლა. მოგეხსენებათ, რეგიონებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონას, მაგალითად, თუ იცი, რომ ეს კონკრეტული ადამიანი პატიოსანი და საქმის მკეთებელია, არ უყურებ მის პარტიულობას, ისე აძლევ თველობაში. თუ „ქართული ოცნება" ერთ მუშტად არ შეიკრა და ამბიციები გვერდზე არ გადადეს, ტირანები დაბრუნდებიან. ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ნაციონალებისთვის" ერთიანობა მთავარია. ის ხალხი, ვინც ერთად იყვნენ, ისევ ერთად არიან. ეს შეკრულობა იგრძნობა ადგილზე. სულ არ აინტერესებთ, შენ რა ზიანი მოგადგა მათი მმართველობისგან, მთავარია, ისინი იყვნენ კარგად. ადგილობრივ თვითმმართველობაში კადრების გაბერვის შედეგად ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული, ეს ხალხი „ნაციონალებს" ისევ დაუჭერს მხარს, რადგან ახლა უმუშევრები არიან. ყველას თავისი ოჯახის კეთილდღეობა აინტერესებს და არა ქვეყნის საქმე, ამიტომ არის ახალი მექანიზმი მოსაფიქრებელი, თორემ „ნაციონალები" ისევ შეძლებენ რაიმე ფორმით ადგილობრივ თვითმმართველობაში თავის დამკვიდრებას და მერე ბრძოლა მათ წინააღმდეგ უფრო გართულდება.

»» ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით უსუფაშვილმა წერილი გამოაქვეყნა




„საქართველოს ოცნება: ევროპეიზაცია, როგორც დემოკრატიული კონსოლიდაცია", – ამ სათაურით აქვეყნებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის წერილს გამოცემა **New Europe**.

როგორც საავტორო წერილში დავით უსუფაშვილი აღნიშნავს, საქართველოში ყველა თანხმდება, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროპეიზაციის „პატარა კუნძულად უნდა დავრჩეთ".

„რა თქმა უნდა, ამ კუთხით არსებობს შეშფოთების გამომწვევი ორი საკითხი. პირველი ის, რომ საქართველოში ბევრი ეთანხმება მოსაზრებას, ევროპაში ყოფნა – კონკურენტუნარიანობა, კანონის უზენაესობა, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა, მტკიცე მრავალმხრივი ურთიერთობები (მულტილატერალიზმი), კონსენსუსზე დამყარებული პოლიტიკა, მტკიცე სოციალური უსაფრთხოება, სოციალური პარტნიორობის კულტურა, რესპექტაბელური ინსტიტუტები და ადამიანის უფლებების ერთგულება – არ არის ანტირუსული მდგომარეობა. ეს ყველაფერი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ სად და ვინ გვსურს ვიყოთ. ის კი, თუ სად და ვინ არ გვსურს ვიყოთ, მომდინარეობს არასრულყოფილებიდან და არა ზოგადად, პრინციპებიდან. თუმცა, მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ 2008 წლის ომის შემდეგ ქვეყნისთვის მიყენებულ ჭრილობებს, მოსკოვში ქსენოფობიის ტალღის მატებას, მასშტაბურ პროვოკაციას, ეგრეთწოდებული „ბორდერიზაციის პოლიტიკით", რომ აღარაფერი ვთქვათ კიევის ქუჩებში დაძაბულობის გამძაფრებასთან, არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდება მსხვერპლის როლში. ეს მტკიცედ არსებული შიშია", – წერს დავით უსუფაშვილი.

დავით უსუფაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საბოლოოდ უტყუარი ფაქტების არარსებობისა და უამრავი შიშის პირობებში, საქართველოს ისღა დარჩენია, იყოს გამბედავი. მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქეები თანხმდებიან, რომ დასავლეთისადმი ერთგულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიზაციისთვის.

„ადამიანის უფლებათა სტანდარტები, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის მხოლოდ რამდენიმე განზომილებას წარმოადგენს, რომლებიც განმტკიცდა საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ტრაექტორიისადმი ერთგულების გაცხადების შედეგად, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად. თუმცა იმისთვის, რომ ამ არჩევანმა მნიშვნელობა შეიძინოს, ჩვენ ხარისხობრივი ნახტომი უნდა განვახორციელოთ ტრანზიციიდან დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ. ამ თვალსაზრისით კი, „ევროპეიზაცია" ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დემოკრატიზაცია", – წერს დავით უსუფაშვილი. (ინტერპრესნიუსი)



## დღის ალიაქოთი

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ ჰყავს. თანამდებობიდან გიზო ჟორდანია მას შემდეგ წავიდა, რაც თეატრის სოლისტებმა თითქმის მთელი შემადგენლობით ბოიკოტი გამოაცხადეს. ის კი არა და, სოლისტები კულტურის მინისტრს, გურამ ოდიშარიას ეახლნენ და კატეგორიულად მოსთხოვეს, ჟორდანია გაუშვიო. ოდიშარიამ თავიდან იუარა და ამაზე სულ გაგიჟდნენ აჯანყებულები. თეატრის სოლისტმა გოჩა დათუსანმა ისიც თქვა, ოდიშარია თეატრში აუდიტის შეშვებას დაგვპირდა, რად გვინდა აუდიტი, მოხსნას ჟორდანია და მერე თუ უნდა, მყნოსავი ძაღლები შეუშვასო. ბატონო გოჩა, მყნოსავი ძაღლი ახალი ჯიშია, ალბათ, თორემ აქამდე მხოლოდ სომელიე ძაღლები ვიცოდით.

ძალიან დიდი ბოდიში დიმა ჯაიანთან, მაგრამ ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ გვატყუებს. აი, რა თქვა ცნობილმა მსახიობმა: „ნაციონალებს ურჩევნიათ, მოპარული მილიარდები დაუბრუნონ ხალხს! სანდრა რულოვსის მამა მიშიკოს დახმარებით მილიარდერი გახდა! ჩემი ნაცნობი ჩამოვიდა ჰოლანდიიდან და იმან მითხრა, როგორ იყიდეს რულოვსებმა უზარმაზარი, შუა საუკუნეების სასახლე!.. არადა, სააკაშვილის პრეზიდენტობამდე სანდრას მამა ერთი ჩვეულებრივი სოფლელი გლეხი იყო და თავისი დროგით ნაკელი დაჰქონდა აქეთ-იქით“.



ტყუილია, ბატონო დიმა, ეგ ამბავი, დიდი ტყუილი. ზუსტად ვიცი, რომ სანდრას მამა დროგით ნაკელს არ დაატარებდა და საღამოობით, როცა სიძე სტუმრობდა ხოლმე, სწორედ მას ასეირნებდა. ჰოდა, ღიღინებდა სააკაშვილი სიმამრის დროგზე წამოსკუპებული, „ბედს ვეძებდი, ვაი სად არ ვიარე“...

# რატომ გვატყუებს დიმა ჯაიანი?



თბილისის საკრებულოში ერთი ამბავია ატეხილი. ძველი და ახალი უმრავლესობა (ეგენი ისე აირივნენ, ვისი წევრი ვის ფრაქციაშია, კაცმა არ იცის) ერთმანეთს ბიუჯეტის გამო აკრიტიკებს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამბობენ, ბიუჯეტის ჩავარდნის შემდეგ დედაქალაქში ბევრი პროექტი შეჩერდებაო, „ქართული ოცნება“ კიდევ ამუნათებს, 60 მილიონის დახარჯვის უფლება გაქვთ იანვარში და დახარჯეთ, რას გვეკითხებითო. ისე, ხალხისთვის რომ ეკითხათ, დახარჯონ თუ არა ან რაში დახარჯონო, არ იქნებოდა ცუდი, მაგრამ ხალხი ჯერ საჭირო არ არის, ჩვენი თავი საკრებულოს წევრებს ზაფხულისთვის დასჭირდებათ და ნახეთ მერე, როგორ დაიღალონ ჩვენს სამსახურში და როგორ დაიკლონ ზამთარში მომატებული კილოგრამები.

საქართველოდან გიგი უგულავას წასვლის შემდეგ, ქვეყანა მისმა მეუღლემ, ლელა კილაძემაც დატოვა და ატყდა ერთი ამბავი, კილაძე გათხოვდა, გიგი აღარ უნდაო. ეს ამბავი ჭორი აღმოჩნდა, თუმცა სრული სიმართლეა ის, რომ 2010 წელს ავსტრიაში კილაძემ გიგის მემკვიდრე გაუჩინა და ვენაში ბიჭის დაბადების ხუთდღიანი აღნიშვნა გიგილოს 95 ათასი ევრო დაუჯდა. ეს ამბავი კი იმიტომ შევახსენეთ, რომ ვისაც ცრემლი მოადგა, როცა გიგიმ სიდედრის ბინა ჩადო ბანკში გირაოს გადასახდელად, დროზე შეიმშრალოთ – კაცი რომ ხუთ დღეში 95 ათას ევროს დახარჯავს, 50 ათასი ლარიც ექნება სადმე მიმალულ-მიკუჭული და ის სიდედრის ბინა კიდევ ერთი მარცვალია იმ საკენკისა, 9 წლის განმავლობაში რომ გვიყრიდნენ „ნაციონალები“ და სულო ცოდვილო, გვარიანად რომ ვკენკავდით და თუ არ გვინდოდა, გვეხმარებოდნენ.

ევროპულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქართული ბავშვთა სახლების მონიტორინგი დაიწყეს და გაოცებულებმა განაცხადეს, ერთ-ერთ ბავშვთა სახლში მოზარდს, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი სჭირდებოდა, დასაძინებელ წამალს აძლევდნენ, რაც წამების ტოლფასიაო. აბა, რა უფლება გვაქვს, ევროპელებს არ დავუჯეროთ, მაგრამ იგივე არასამთავრობოები ქართულ ციხეებში რომ შედიოდნენ და ტკივილგამაყუჩებლის ნაცვლად პატიმრებს ცოცხითა და „დუბინკით“ რომ „აწყნარებდნენ“, რატომ მაშინ არ ამბობდნენ, ეს წამებააო?! თუ სექსშოპების რეკლამა ეგონათ და სიამოვნებით უყურებდნენ?! მონიტორინგი კარგია, მაგრამ, სიყვარულის არ იყოს, ცალმხრივი არაფერი ვარგა და კარგი იქნება, თუ ევროპელები ახლა მაინც ისაუბრებენ ყველა იმ დარღვევაზე, რაც იყო, არის და აუცილებლად იქნება, რადგან საქართველოში ჯერჯერობით სხვაგვარად არ გამოგვდის და მე თუ მკითხავთ, დიდად არც ვცდილობთ.

უწმაწურ სიტყვაზე ბოდიში და ჟირინოვსკი უნდა ვახსენო. ვლადიმირ ვოლფოვიჩმა თავისი პარტიის წევრებს მოუწოდა, სექსით მხოლოდ კვარტალში ერთხელ, ანუ წელიწადში ოთხჯერ დაკავდითო. ჟირინოვსკის ამ განცხადებას წინ უძღოდა გამოკითხვის შედეგები, რომელშიც მითითებული იყო, რომ რუსეთში მცხოვრებ მოქალაქეებს წლიურად დაახლოებით 143-ჯერ აქვთ სექსი. არადა, ეს ციფრი გაცილებით მაღალი იყო მაშინ, როცა ბილეთი 37 მანეთი ღირდა და ვისაც არ ახსოვს, რისი ბილეთი ღირდა 37 მანეთი, შეუძლია მამებსა და ბაბუებს ჰკითხოს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ გამოქვეყნებული რეიტინგის თანახმად, ყველაზე ლამაზი ქალები ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ცხოვრობენ, მეორე ადგილზე მილანია, ხოლო მესამეზე – ვენესუელას დედაქალაქი კარაკასი. სხვათა შორის, არც ერთი რუსული და არც უკრაინული ქალაქი ათეულში არ არის. ვისაც სურს ამ რეიტინგის სისწორეში დარწმუნდეს, ზაფხულში რიოს ესტუმროს, თან მსოფლიო ჩემპიონატს ნახავს, თან რეიტინგს შეამოწმებს, თუმცა რამდენად გეყოფათ ამ ყველაფერში 37 მანეთი, ვერ გეტყვით. თანაც, ამ ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს და იმის გათვალისწინებით, რომ მუნდიალზე საქართველოს ნაკრები არ თამაშობს, სანერვიულოც ბევრი არაფერი გვექნება...

ისე, თუ ატყობთ, ერმა გამოფხიზლება დაიწყო. პოლიტიკურ გამოფხიზლებაზე არ გეუბნებით, ამ მხრივ კარგა ხანს გველის კიდევ საღათას ძილი, სამოქალაქო სექტორიდან თუ დროზე არ შემოგვეშველა ერთი კაცი. იმას ვამბობ, ახალი წელი, შობა და ძველი ახალი წელი მოვილიეთ და ის დროა, გაღიზიანებულ ღვიძლსა და ათამაშებულ პულსს მივხედოთ. ათამაშებაზე ისიც ვთქვათ, რომ ვილაცები ძალიან ცუდად ათამაშებენ (პულსს) და ეჭვი მაქვს, კარგად არ დამთავრდება ეს ყველაფერი.

სხვათა შორის, სინოპტიკოსები ერთი კვირა გვაჩვევდნენ იმ ამბავს, რომ 14 იანვარს მთელი საქართველოს მასშტაბით თოვლი მოვიდოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, თბილისში არ მოუთოვია და ახლა იმას ვფიქრობ, „ნაციონალებმა“ თბილისიც ხომ არ დაკარგეს და გვიმალავენ.

**P.S. ამდენი ხანია, გენერალური პროკურორი არ გვყავს. სიმართლე გითხრათ, უმისობა პირადად მე არანაირად არ მიგრძვნია და ახალი გენპროკურორის ძიებას, ეგებ იმაზე დავფიქრდეთ, გვჭირდება კი საერთოდ?!**

**ლევან ღვინიაშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოჭში ავიარეისები დაინიშნა



ავიაკომპანია „აირზენა“ სოჭის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისების განხორციელებას იწყებს. ავიაკომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თამაზ გაიაშვილის განცხადებით, ფრენები კვირაში ორჯერ განხორციელდება.

„ავიარეისები დაინიშნა 4 თებერვლიდან, კვირაში ორი სიხშირით და გაგრძელდება მთელი გაზაფხული-ზაფხულის სეზონი. სოჭში არის ქართული დიასპორა, რომელიც ითხოვდა, რომ გაგვეხორციელებინა ავიარეისები სოჭის მიმართულებით. ძნელი იყო ამ მიმართულებით ნებართვის მიღება რუსეთიდან, მაგრამ ოლიმპიადასთან დაკავშირებით რუსეთის მხარემ ნება დაგვრთო“, – განაცხადა გაიაშვილმა.

რაც შეეხება ფრენის ფასებს, ის 120 აშშ დოლარიდან იწყება. (ინტერპრესნიუსი)

## მიუსაფართა თავშესაფრის მობინადრე ავარიაში დაიღუპა



მიუსაფართა თავშესაფრის ერთ-ერთი მობინადრე 13 იანვარს ღამით ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ავტოსაგზაო შემთხვევა 23:00 საათზე, თავშესაფრის ტერიტორიის გარეთ მოხდა.

„გარდაიცვალა საშუალო ასაკის მამაკაცი, ალკოჰოლდამოკიდებული და ყავარჯნებით მოსიარულე. როგორც გაირკვა, ის გადაპარულია ღობეზე საკვების მოტანის მიზნით“, – აცხადებენ სამინისტროში და განმარტავენ, რომ გარდაცვლილს ხელში ალკოჰოლური სასმელი და ტკბილეული ეჭირა. (ინტერპრესნიუსი)

## ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე შეზღუდვები რჩება




თბილისი-სენაკი ლესელიძის გზაზე დაწესებული რეჟიმის არეალი შემცირდა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზაზე მოქმედი შეზღუდვის რეჟიმი შეიცვალა. ამ დროისთვის შეზღუდვა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მხოლოდ კმ129-კმ193 (ხაშური-ზესტაფონი) მონაკვეთზე მოქმედებს. გზის დანარჩენ მონაკვეთებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით გადაადგილების რეჟიმი მოხსნილია და მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის გარდა სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ თვრება ზოგი სხვებზე ბევრად სწრაფად?



სად ნახეს, ხარის მიერ გამოცლილი ყანწები და განსხვავებულები, კაცმა არ იცის, მაგრამ მაინც ბევრი იტყვის ხოლმე მაგარ მსმელ ადამიანზე – ხარივით სვამსო... ხარის რა მოგახსენოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რატომ არის, რომ ზოგი მართლაც უზომო რაოდენობის ალკოჰოლს იტანს, ხოლო ზოგს ორი ჭიქა ულებს ბოლოს.

კვლევა ამ საკითხზე ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ სპირტის გადატანის დონე პირდაპირ კავშირშია თავის ტვინის გენების მუტაციასთან.

აღნიშნული კვლევა ინოვაციური აღმოჩნდა მეცნიერებისთვის, რადგან მიკვლეულ იქნა მიზეზი, რომლის გამოც ზოგიერთი ადამიანი სხვებზე ბევრად სწრაფად და ადვილად თვრება.

მეცნიერებს უკვე დიდი ხნის წინ აქვთ ახსნილი ალკოჰოლით თრობის ზოგიერთი შედეგი. მაგალითად, მეხსიერების დაკარგვა, ნაბახუსევი, კოორდინაციის დარღვევა. რაც შეეხება ალკოჰოლის ზემოქმედებას უშუალოდ ტვინზე, ეს ფაქტი დიდხანს ბურუსით იყო მოცული.

მოკლედ, საბოლოო ჯამში, დადგინდა, რომ ტვინზე სპირტის ზემოქმედების შედეგად, ხდება მისი გენების მუტაცია. შესაბამისად, ტვინის რეცეპტორთა პარამეტრები სრულიად განსხვავებული ხდება. ამას ის შედეგი მოსდევს, რომ გენების მუტაციის გამო, ტვინის უჯრედებს აღარ აქვთ უნარი, ერთმანეთში ინფორმაცია გაცვალონ და ალკოჰოლიც უფრო დიდი ზემოქმედების მოხდენას ახერხებს.

სხვაობა კი ის არის, რომ ზოგიერთი ადამიანის გენებს მუტაცია ბევრად ადვილად ერევა, სხვებს კი უმართლებს, ეს პროცესი დროში იწელება და შესაბამისად, მეტი ალკოჰოლის მიღება „ხარივით მსმელის" სტატუსს ანიჭებს.

*smartbooka.net*

# ადამიანები საყვარლებსა და მეგობრებს გენეტიკურ დონეზე ირჩევენ?



დაგვეთანხმებით, არაფერი სჯობია ისეთ ურთიერთობებს, რომელშიც უმცირესი ადგილიც კი არ აქვს გამორჩენის სურვილს. მათ, ვინც მეგობრებს ამგვარი წესით ირჩევს, ისეთ სახელს უწოდებენ, ცოტა გვერიდება სახალხოდ გამეორება. რაც შეეხება სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობის გაბმის მეცნიერულ ახსნას, აქ უკვე მოსარიდებელი არაფერია და ყველაფერს გახსნილად გეტყვით.

თითქმის 10 ათასი მოსწავლის გენოტიპის ანალიზმა აჩვენა, რომ ადამიანები ხვდებიან, ყვარობენ და ემეგობრებიან ერთმანეთს გენეტიკურ დონეზე.

კვლევის ჩატარება ექვსი გენის შესახებ მიღებული მონაცემების შემდეგ გადაწყდა, რომელთაგან თითოეულში მეცნიერებს ერთი ერთნუკლეოდური პოლიმორფიზი (ენპ) აინტერესებდათ – დეენემის თანმიმდევრობის მინიმალური ვარიაცია.

მას შემდეგ, რაც კვლევის ავტორებმა გაითვალისწინეს გენეტიკური თანხვედრის ეფექტი, რომელიც იძლევს სქესს, ასაკს, რასობრივ კუთვნილებას და ზოგად წარმომავლობას, ყურადსაღები კანონზომიერებაც გაჩნდა: ადამიანებში, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა აქვთ, ხშირია ერთი და იგივე ენპ დოფამინურ გენში დე2 და განსხვავებულია გენში სიპ2ა6.

აღნიშნული გენების ზუსტი ფუნქციები ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული, მაგრამ პირველ მათგანს შეუძლია ზემოქმედება ალკოჰოლიზმის განვითარებაზე, მეორე კი ადამიანის გახსნილობას უკავშირდება, სწრაფვას ახალი იდეებისკენ და შთაბეჭდილებებისკენ.

– ადამიანები სექსუალურ პარტნიორებსა და მეგობრებს არა ქვეცნობიერ, არამედ გენეტიკურ დონეზე ირჩევენ, – ამბობენ მეცნიერები.

*facte.ru*

# წამალი და გრეიფრუტი – სასიკვდილო შეხამება



ის, რომ ცალკე აღებული გრეიფრუტი ძალიან სასარგებლოა, ამის შესახებ ბევრჯერ მოგვიყოლია, თუმცა მოგეხსენებათ, მონეტას ორი მხარე აქვს. გრეიფრუტის შემთხვევაშიც სწორედ ასეა – ის სასიკვდილოდ სახიფათოც კი შეიძლება გახდეს, თუკი ადამიანი მედიკამენტთან ერთად მიიღებს.

უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, გრეიფრუტი ფურანოკუმარინს შეიცავს, ქიმიურ ნაერთს, რომელიც ზოგიერთ წამალთან შეხებისას, ადამიანის ორგანიზმზე მათ ზემოქმედებას რამდენჯერმე ზრდის. ამას შეიძლება მოჰყვეს: სუნთქვის დარღვევა, თირკმლების მწვავე უკმარისობა, შინაგანი სისხლდენა და სამწუხაროდ, ლეტალური შედეგიც.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან ხანშიშესული ადამიანები, რომლებსაც წამლის დიდი დოზის გადატანა, უბრალოდ, არ შეუძლიათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გრეიფრუტში შემავალი საშიში ნივთიერება ფურანოკუმარინი ორგანიზმში ციტრუსის მიღებიდან რამდენიმე საათის მანძილზე რჩება. აქედან გამომდინარე, მედიკოსების კატეგორიული რჩევაა, უარი ითქვას გრეიფრუტზე, თუკი ადამიანი მკურნალობის კურსს გადის.

*myjane.ru*

# კითხვა ტვინს ნაადრევი დაბერებისგან იცავს



ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების ყოველწლიურ შეხვედრაზე, მეცნიერებმა დეტალურად განმარტეს, რატომ საჭიროებს ადამიანის თავის ტვინი მუდმივ ინტელექტუალურ საქმიანობას.

მათი თქმით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ტვინის თეთრ ნივთიერებას, ხანგრძლივად შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობა.

რაშის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) სპეციალისტებმა მოხუცებულების ტვინში თეთრ ნივთიერებასა და მათ ინტელექტუალურ აქტიურობას შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინეს.

ექსპერიმენტებში მათ დაადგინეს, რომ ტვინის აღნიშნული ნივთიერების სიმკვრივე და ჯანმრთელობა ბევრად მაღალია იმ ადამიანებში, რომელთა ტვინიც მუდმივად აქტიურად მუშაობს. კვლევაში 152 მოხალისე იყო ჩართული, საშუალო ასაკით – 80 წელი.

არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მეხსიერების ან ყურადღების გაფანტვა. 12 თვის მანძილზე მოხალისეთა ტვინს სპექტრალური ტომოგრაფიით სკანირება უტარდებოდა.

საბოლოო ჯამში, ექსპერიმენტის ავტორებმა დაასკვნეს, რომ თავის ტვინის დაბერებისგან გადარჩენა სავსებით შესაძლებელია კითხვით, წერილების წერით, ჭადრაკის თამაშით და მოკლედ, ყველაფრით, რაც ინტელექტუალურ მუშაობას უკავშირდება.

*best-strotelstvo.ru*

# კატები ვერ ხედავენ წითელს, მაგრამ არჩევენ ნაცრისფრის 25 შეფერილობას



ერთი წუწუნა ადამიანი რომ ამბობს, იცით? – „საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემს უიღბლობაში, როცა შავმა კატამ გზა დამითმოო..."

ისე, რა იციან ამ შავ კატასთან დაკავშირებით ამდენი ცრურწმენა?! კაცო, თუკი კატამ გზა გადაგიჭრათ, ესე იგი, ქუჩის მეორე მხარეს აქვს საქმე და ადამიანის კარიერული წინსვლა სულ თავის ჭროლა თვალებზე ჰკიდია.

ჰო, მართლა, იცით, როგორი უცნაურია კატის თვალების მოწყობილობა? მაგალითად, როგორც ადამიანს, მასაც ორი სახეობის ფოტომგრძნობელობის უჯრედი აქვს (კონუსები და ჩხირები). მაგრამ თუკი ადამიანის ერთ ჩხირზე შედარებით მკვეთრი ხედვის რაიონში 4 ჩხირი მოდის, კატების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 25-ია. კატა ადამიანზე ბევრად ცუდად აღიქვამს ფერებს, მაგალითად, წითელს კი საერთოდაც ვერ ხედავს, ცისფერისგან განსხვავებით. სამაგიეროდ, ნაცრისფრის აღქმაში ისინი რეკორდსმენები არიან და თაგვის შეფერილობის 25 ტიპს არჩევენ.

*surfingbird.ru*

## პარკინსონის დაავადება ველოსიპედის დახმარებით იკურნება?



ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეგახსენებთ, რომ პარკინსონის დაავადება, ეს არის თავის ტვინის პროგრესირებადი დაავადება, რომელიც ვითარდება ხანშიშესულ ადამიანებში და ხასიათდება სხეულის ნაწილების უნებლიე მოძრაობებით, მეტყველების გაძნელებითა და ზოგადად, კოორდინაციის დარღვევით.

პარკინსონის დაავადება, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ამასთანავე, რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა. აქედან გამომდინარე, ამერიკელი ნევროლოგების მიგნება ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია.

მათი განმარტებით, პარკინსონის დაავადების სიმპტომები ძალიან მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, როცა პაციენტები ველოსიპედებით გადაადგილდებოდნენ.

კვლევის ფარგლებში, 26 პაციენტი ველოსიპედით 2 თვის მანძილზე კვირაში სამჯერ ვარჯიშობდა. ამასთანავე, ნაწილი შედარებით ნელა მოძრაობდა, ნაწილი კი, შესაბამისად, სწრაფად. ორივე შემთხვევაში შედეგი საგრძნობი აღმოჩნდა, განსაკუთრებული შვება კი მაინც უფრო აქტიური ვარჯიშების შემსრულებლებმა მიიღეს.

*fitnestile.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# იმის შესახებ, რაზეც არასოდეს გიფიქრიათ...



**1. თქვენი კუჭი ბევრად ჭკვიანია, ვიდრე გგონიათ**

– დიახაც, ეს მართლაც ასეა! თქვენი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს იმაზე გაცილებით მეტი ნეირონი აქვს, ვიდრე ბევრ ცხოველს თავის ტვინში. ნეირონების რაოდენობა და მნიშვნელობა მეცნიერებს აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მუცელში ადამიანს მეორე ტვინი აქვს.

**2. სხეული თქვენც ისევე გაქვთ ბალნით დაფარული, როგორც შიმპანზეს**

– უკაცრავად კი ვართ ასეთი შედარებისთვის, მაგრამ მეცნიერები ამბობენ ამას, ჩვენ კი არა!.. ადამიანის სხეულზე თმის საფარი ისეთივე აგებულებისაა, როგორც ეს პრიმატების უმრავლესობაში გვხვდება. ადამიანი შიმპანზესგან მხოლოდ თმის სისქე-სიგრძისგან განსხვავდება და არა თმის რაოდენობა-მდებარეობისგან.

**3. თქვენი დეენემის შემადგელობაში ვირუსებიც შედის**

– ადამიანის გენომის ამოხსნას თანმოყოლილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიურპრიზი ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ ჩვენი დეენემი ნაწილობრივ ვირუსებისგან შედგება. ვირუსები დამოუკიდებლად გამრავლებას ვერ ახერხებენ, რისთვისაც ისინი პატრონის უჯრედებში მოტყუებით ცდილობენ „ჩაშენებას“, რასაც ხშირად წარმატებითაც ახერხებენ. თუკი ვირუსი მოახერხებს და ადამიანის სპერმაში ან კვერცხუჯრედში საკუთარ დეენემს მოათავსებს, შთამომავლობას შესაძლოა, სწორედ ვირუსის დეენემი გამოჰყვეს. ევოლუციის მანძილზე ეს იმდენჯერ მომხდარა, რომ დღეისთვის ჩვენი გენომის არანაკლებ 9 პროცენტს ვირუსები შეადგენს.

**4. თქვენი ორგანიზმი ბევრად ახალგაზრდაა, ვიდრე თავად თქვენ**

– ადამიანი მუდმივად იცვლება. სუნთქავს, იღებს საკვებს, თავისუფლდება ზედმეტისგან და ასე შემდეგ. შემდგომ ჯერზე ორგანიზმი საკუთარ თავს არასოდეს იმეორებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მუდმივი განახლების პროცესშია: ყოველ წამს უჯრედების ნაწილი კვდება და ახლებით იცვლება. რაც უფრო სიბერეში შედის ადამიანი, მით ნაკლებად რჩება მასში ის უჯრედები, რომლებიც ბავშვობიდან გამოჰყვა. ეს პროცესი ხშირად ხდება ფილოსოფიური კამათის მიზეზი: შეუძლია თუ არა ადამიანს საკუთარ თავს საკუთარი უწოდოს, თუკი უჯრედები, რომლებიც დაბადებიდან თან ჰქონდა, დიდი ხნის წინ შეეცვალა ახლებით?..

**5. ნაწილობრივ უსინათლო ხართ**

– სამწუხაროდ, ადამიანის თვალს ერთი მოშლილობა სჭირს: ბრმა ლაქა. ნებისმიერი ადამიანის თვალში არის ადგილი, რომელსაც არ აქვს უნარი, აღიქვას სინათლე. სპეციალისტების თქმით, ეს ლაქა იმდენად დიდია, რომ ერთი თვალის დაზიანების შემთხვევაში, ადამიანს საკმაოდ საგრძნობი პრობლემები ექმნება. ორივე თვალის ჯანმრთელობის შემთხვევაში, ლაქა შეუმჩნეველი რჩება.



**6. შეგიძლიათ, იანგარიშოთ დათვლის გარეშე**

– ადამიანს რაოდენობის ინტუიციური აღქმა აქვს, თუკი ობიექტების რაოდენობა 4-ს არ აჭარბებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სულაც არ არის აუცილებელი, იცოდეთ თვლა, რადგან მაინც მიხვდებით, ორ საგანს ხედავთ თქვენს წინ თუ – სამს. პირახის ტომშიც კი, სადაც რამდენადაც ცნობილია, დათვლის გაგება არ არსებობს, რაოდენობას ასევე ინტუიციურად აღიქვამენ.

**7. თქვენს სხეულს ზოლები აქვს**

– როგორც, მაგალითად, კატის თმაზე, ისე თქვენც გაქვთ კანზე ზოლები და ლაქები, ოღონდაც ისეთი, რომ ვერ ხედავთ. ფენომენს ბლაშკოს ზოლები ეწოდება. მიიჩნევა, რომ მათი არსებობა ემბრიონის კანის უჯრედების მიგრაციას უკავშირდება: ზოლებს უწოდებენ შაბლონებს, რომელთა დახმარებით ჩანს, როგორც ვითარდებოდა კანი. ხაზები არ ემთხვევა კუნთოვან და ლიმფურ სისტემებს და მათი ფორმა გენეტიკაზეა დამოკიდებული.

***pronowosti.ru***



ცოლ-ქმარი სადილობს. უცბად ცოლს ბორშჩი გადაესხა:

– ფუ! ღორს ვგავარ, რა!

– ჰო, თან ბორშჩიც გადაისხი...

*****



– დაიკოს გაუმარჯოს! აბა, იშოვე სამუშაო?

– კი, მერიაში.

– შენ რა, გადაირიე?! დედა საგადასახადოშია, მამა ნაციონალურ პარტიაში – ისედაც მთელ უბანს ვეზიზღებით!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*




სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

პასუხები: 1. მაყალი; 2. კურიოზი; 3. მძინარე; 4. მინარეთი; 5. ჩანთა; 6. კლინიკა; 7. „მატრიცა“; 8. მუხა; 9. ხილაბანდი; 10. არამ; 11. ლათინური; 12. აკლდამა; 13. მეტრი; 14. კონტრაბასი; 15. ტრეკი; 16. ემა; 17. კანი; 18. სცენა; 19. ზარები; 20. სალიერი; 21. ანგინა; 22. ნავი; 23. ალმასი; 24. ლაზარეთი; 25. არისტოტელე; 26. სვე; 27. რიზ; 28. მალა; 29. მატეო; 30. სინდბადი; 31. ევკლიდე; 32. ვენა; 33. ზვიგენის; 34. ინგლისი; 35. ნიკე; 36. ვიეტნამი; 37. ლაპლანდია; 38. კრატერი; 39. ალან; 40. ემხვარი; 41. მიტერანი; 42. სოკო; 43. გივი; 44. სტიპენდია; 45. ენდი; 46. დეიმონი; 47. ნამი; 48. დიდი; 49. მელომანი; 50. ნონ; 51. ნემო; 53. იაბო; 54. ბოა; 55. მარტენი; 56. მარალი; 57. ონო; 58. დედალი; 59. აბგა; 60. ლევ; 61. ბუ; 62. ლა; 63. ვენი; 64. გრიმი; 65. რემბო; 66. მიკი; 67. ფრაუ; 68. ცინიკოსი; 69. ძუა; 70. ან; 71. კვირა; 72. „ნივეა“; 73. უმი; 74. უბე; 75. ბიბი; 76. სიო. იკითხება: ყურძენი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სევდიანი ფილმი განწყობას... გაგიუმჯობესებთო



ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რატომ მოსწონთ ადამიანებს დრამატული და ტრაგიკული ფილმების ყურება.

საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ასეთი ფილმების დახმარებით, უმრავლეს შემთხვევაში, განწყობის გაუმჯობესება ხდება.

ექსპერიმენტში ახალგაზრდობა მონაწილეობდა – უნივერსიტეტის სტუდენტები. კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ მაყურებლების უმრავლესობა სევდიანი ფილმების ყურებისას პარალელს ავლებდა საკუთარ ურთიერთობებთან, რაც უმრავლესობისთვის ბედნიერების ყველაზე მთავარი წყაროა.

პროფესორი სილვია ნობლოკ-ვესტერვიკი ამბობს, რომ ასეთი ფილმების ყურებისას, ადამიანები თავიანთი ურთიერთობების გამო ხარობენ. შედეგად, მათი განწყობა ცოტა ხნით მართლაც უმჯობესდება.

ამავე დროს დადგინდა ისიც, რომ კვლევის შედარებით ეგოისტ მონაწილეებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „რა კარგია, ჩემთანაც ასე რომ არ ხდება“, განწყობა დადებითისკენ პრაქტიკულად, არ შეცვლიათ.

*iscience.ru*

## მეცნიერებმა ადამიანის სიკვდილის დროის ამოცნობის მეთოდს მიაგნეს



ისე, ადამიანმა წინასწარ რომ იცოდეს ზუსტად, კონკრეტულ დღეს უნდა მოკვდეს, არ გვგონია, ლოდინმა დადებითი გავლენა მოახდინოს და სანამ საბედისწერო დღე დადგება, გაფშიკავს კიდეც ფეხს.

ამერიკელმა მეცნიერებმა მიაგნეს მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა, მაღალი სიზუსტით დადგინდეს დრო, როდის გარდაიცვლება ადამიანი ინსულტისგან ან გულის შეტევისგან. თურმე, ეს ფაქტი ადამიანურ გენოტიპში განსაკუთრებული კომბინაციით განისაზღვრება.

როგორც ირკვევა, ბოსტონის სამედიცინო ცენტრის ნევროლოგიის განყოფილების მკვლევართა ჯგუფმა კომბინაციას სრულიად შემთხვევით მიაგნო.

კვლევაში 65 წლის 1200-მდე ჯანმრთელმა ამერიკელმა მიიღო მონაწილეობა. სპეციალისტები მოხალისეების მდგომარეობას მათი ძილის დროს აკვირდებოდნენ. ექსპერიმენტების პროცესში სწავლულებმა ქრომოსომებში მიაგნეს მოლეკულას, რომლის შემადგენლობაშიც ადენინისა (შემდგომში მონიშნული როგორც ა) და გუანინის (გ) აზოტური საფუძვლები შედიოდა.

ადენინი და გუანინი ორგანული ნაერთებია, რომლებიც დეენემის შემადგენლობაში გვხვდება. მეცნიერების შეფასებით, არსებობს 36-პროცენტიანი ალბათობა იმისა, რომ კონკრეტული ადამიანის გენომში აღმოჩნდება გენეტიკური კომბინაცია „აა“, 16-პროცენტიანი ალბათობაა კომბინაციისთვის „გგ“ და 48-პროცენტიანი, რომ გენებში „აგ“ მოიძებნება. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ადამიანები კომბინაციით „აა“, როგორც წესი, ერთი საათით ადრე ილვიძებენ, ვიდრე „გგ“ კომბინაციის მქონენი. ასევე, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „აა“ და „აგ“ გენოტიპის მქონე ადამიანებში ინსულტისგან ან გულის შეტევისგან გარდაცვალების ალბათობა ყველაზე მაღალია დილით 11 საათამდე, ხოლო „გგ“ გენოტიპის მქონეებში – დღის მანძილზე საღამოს 6 საათამდე.

– შინაგანი საათებით ადამიანური ბიოლოგიის ბევრი ასპექტი რეგულირდება და განისაზღვრება ისეთი მოვლენებიც, როგორიცაა ინსულტი და გულის შეტევა, – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი ენდრიუ ლიმი, – ამდენად, მართლაც არსებობს გენი, რომელიც მიგვანიშნებს დღის დროს, როდის მოკვდება ადამიანი და, საბედნიეროდ, არა თარიღს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*top.rbc.ru*

გაზეთები ალია და ქრონიკა

სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**15 იანვარი:** ფინანსურ საკითხებში გაგიმართლებთ, თანაც იმაზე მეტად, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ხანგრძლივი საქმეები არ წამოიწყოთ, იღბალი დროებითია.

**კურო 22.04-21.05**

**15 იანვარი:** დღეს ბევრი შრომა მოგიწევთ, ბევრი საქმე იქნება დროულად მოსასწრები. ასე რომ, დასვენებისთვის დრო შეიძლება ვერ გამოძებნოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**15 იანვარი:** კარგია, როცა საშუალება გაქვს, აკეთო ის, რაც გინდა, მაგრამ მობეზრება იცის. ენერგია იმ საქმისკენ მიმართეთ, რომლის გაკეთებაც აუცილებელია.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**15 იანვარი:** იმდენად ჩაუღრმავდით სრულყოფილებაზე ფიქრს, შეიძლება მარტოობაში დარჩეთ. ისეთი იდეალური არავინაა, თქვენი გემოვნება რომ დააკმაყოფილოს. იქნებ თქვენს მოთხოვნებს გადახედოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**15 იანვარი:** ეს დღე იმ ადამიანებთან გაატარეთ, ვისი ნახვაც გსიამოვნებთ. თუ ამას არ გაითვალისწინებთ, მოწყენილობა გარანტირებული გაქვთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**15 იანვარი:** შეიძლება მოულოდნელად ძალიან ბევრი საქმე გამოგიჩნდეთ. დიდია ალბათობა, რომ სამსახურში გვიანობამდე დარჩენა მოგიწიოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**15 იანვარი:** სასურველია, დღეს მუშაობისგან თავი შეიკავოთ. დაისვენეთ როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი საქმიანობისგან. მუშაობა საკმაო ნერვიულობას მოგიტანთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**15 იანვარი:** თუ გაგიმართლებთ, დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენი კარგი მეგობარი გახდება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**15 იანვარი:** დღეს კომპრომისის მოძებნა მოგიწევთ საკუთარ ამბიციასა და თქვენს ყოველდღიურ ვალდებულებებს შორის.

**თხის რქა 22.12-19.01**

**15 იანვარი:** კარგი დღეა გაუაზრებელი საქმეების კეთებისა აუსრულებელ ოცნებებზე ფიქრისთვის. არანაირ კატასტროფას ეს არ გამოიწვევს, მაქსიმუმ, მსუბუქი განბილება დაგეუფლოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**15 იანვარი:** შეიძლება დაგეუფლოთ შეგრძნება, რომ შეცდომა დაუშვით, დრო და ფული ტყუილად დახარჯეთ. ნუ იტანჯებით, შედეგი თუ იგვიანებს, იმას არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ იქნება.

**თევზები 19.02-20.03**

**15 იანვარი:** შეიძლება დღეს დიდი სისულელე ჩაიდინოთ, რადგან ბრმა ემოციები გმართავთ. უმჯობესია, ეს დღე იმ ადამიანებთან ერთად გაატაროთ, ვინც თქვენზე იზრუნებს.

„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

## მამაკაცები თავს მოხუცებად 58 წლის ასაკში გრძნობენ, ქალები კი...



მართლაც როგორ ძალიან უყვარს მშვენიერ სქესს ყველაფრის უპროპორციოდ და უცნაურად გაზვიადება?! აბა, შეიძლება, 29 წლის ასაკში მყოფმა ადამიანმა საკუთარ თავს მოხუცი და ბებერი უწოდოს?! რა თქმა უნდა, არ შეიძლება, თუმცა როგორც სულ ახლახან ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ქალები სიბერესთან სიახლოვეს სწორედ 29 წლის ასაკში გრძნობენ. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მათ ანალოგიური გრძნობა მხოლოდ 58 წლის ასაკში უჩნდებათ, თუმცა ვფიქრობთ, ესეც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალების მეოთხედი მოხუცებულად თავს მაშინვე გრძნობს, როგორც კი პირველი ჭაღარა თმის ღერი უჩნდება. მეორე მხრივ, მამაკაცები თავს ახალგაზრდებად იქამდე გრძნობენ, სანამ საწოლში ყველაფერი „ხოშიანად“ მისდით.

გარდა ამისა, გამოკითხული ქალების 10 პროცენტი გრძნობს, რომ ბერდება, როცა კანი ძველებურად გლუვი და ელასტიკური აღარ არის. 50 პროცენტი აცხადებს, რომ მოხუცად თავს მას შემდეგ აღიქვამს, როცა გრძნობენ, რომ მშობიარობის შემდეგ სხეული ძველებურ ფორმებს კარგავს. კიდევ 3 პროცენტი ამტკიცებს, რომ, როცა დედასავით იწყებ მოქცევას, ეს სიბერის პირველი ნიშნებია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*obozrevatel.com*



ბიჭს მომხიბვლელი გოგოს გაცნობა სურს. გოგო უხეშად:

– სამი „მერსედესი“ გყავს?

– არა.

– ორსართულიანი ვილა გაქვს?

– არა.

– ჰოდა, დაახვიე!

წავიდა ბიჭი მოწყენილი და მამას ერთი საათი ეწუწუნა. მამამ იფიქრა და უპასუხა:

– შვილო, ჯანდაბას, გაყიდე შენი „ბენტლი“ და კი მოგივა სამი „მერსედესი“, მაგრამ ვილაც გომბიოს გამო სახლისთვის სამ სართულს ნუ მომანგრევინებ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

„ალია-ჰოლდინგი“

ალია

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი
მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 23.56

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რეკლამა: ☎2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge







ძალიან მსუქანი მამაკაცი ძალიან გამხდარს შეხვდება:

მსუქანი ეუბნება:

– რომ გიყურებ, ასე მგონია, საკვები მთელ მსოფლიოში გამოილია.

გამხდარი პასუხობს:

– ჰო, შენ რომ გიყურებ, ვხვდები რატომაც!..

*****

თუკი თქვენი ბუღალტერი ყველა გადასახადს იხდის, ადგეს და ხელფასი საგადასახადო ინსპექციას მოსთხოვოს.

*****

მდივანი შეფს ეუბნება:

– რომ იცოდეთ, როგორ ტყუილებს ყვება თქვენს შესახებ თქვენი მოადგილე...

– ეგ არაფერი! მთავარია, სიმართლე არ მოყვეს.

*****

პროკურორი:

– ექვმიტანილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამორჩეულია სიმამაცით, მოხერხებულობითა და მდიდარი ფანტაზიით.

ექვმიტანილი:

– ტყუილად მაქებთ, მაინც არ ვაღიარებ!

*****

ზევით აწეული დიდი თითი ნიშნავს თხოვნას – „გამოგყვები“;

ზევით აწეული შუა თითი ნიშნავს ამ თხოვნის სტანდარტულ უარს...



– დე, ჩვენი აბაზანით მართლა ღმერთი სარგებლობს ხოლმე?

– არა, შვილო, საიდან მოიტანე?

– აბა, მამიკო ყოველდღე აბაზანის კარის გაღებისას რატომ ამბობს ხოლმე: „ღმერთო, შენ კიდევ აქ ხარ?!“

*****

„ჰონდა“ „მერსედესს“ დაეჯახება. გვარიანად მიჭეჭყავს. გადმოხტება „მერსედესიდან“ ოთხი ჯანიანი ყმაწვილი, გამოგლეჯს „ჰონდას“ კარს და დაუწყებს იქ მჯდარ მამაკაცს ცემას. კაცი ყვირის: „ჰო... ჰო... ჰო...“ „მერსედესის“ მგზავრები იფიქრებენ, დაგვცინისო და უფრო გააქტიურდებიან. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცი ამოთქვამს: „ჰონდას“ საჭე მარჯვნივ აქვს, თქვე უჯიშოებო, მე რას მიბრახუნებთ?!“

*****

რუსი: ჩვენ მაგარი ქალები გვყავს!

იაპონელი: ჩვენ მაგარ ხალიჩებს ვამზადებთ!

გერმანელი: ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ძალიან სწრაფ ტემპში ვითარდება!

იტალიელი: ჩვენ ტოტო კუტუნიო გვყავს!

ქართველი: ჩვენ რუს ქალებთან გვაქვს სექსი იაპონურ ხალიჩაზე გერმანული ტემპით, ტოტო კუტუნიოს სიმღერის ფონზე!!!

*****

მიხო ტაქსში ზის. მძღოლი ძალიან სწრაფად დადის, გადაირია მიხო.

– მაიცა, კაცო, ნელა იარე, თორემ შევრცხვები მორგში – გახეული „ტრუსიკი“ მაცვია, – წამოიძახებს შეშინებული.

*დავით ახობაძის ნახატები*



მიხეილ სახვაძე

599 93-28-03

**ახლა ისეთი დროა, სადაც არ უნდა გაიხედოთ, უმრავლესობა იმას ამბობს, სულ არ მაინტერესებს, ვის ვუყვარვარ, ვის არა და ვის რა აზრი აქვს ჩემზეო.**

**თუ დავფიქრდებით, ეს მხოლოდ მავანთა მცდელობაა, გარშემომყოფებს თავი „მაგარ ტიპებად“ მოაჩვენონ და როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, აბსოლუტურად ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უყვართ თუ არა ის გარშემომყოფებს.**



# უყვარხართ თუ არა გარშემომყოფებს?

**ეს ტესტი დაგეხმარებათ, გაიგოთ, რამდენად სარგებლობთ ნაცნობი და უცნობი ადამიანების სიყვარულით.**

1. უნდა გახსოვდეთ, რომ დღის მანძილზე თითქმის ყოველწუთიერად გამადიდებელი შუშით გაკვირდებიან ისინი, ვისთანაც ურთიერთობა გიწევთ?

დიახ; არა.

2. ადამიანს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გრძნობა განვითარებული იმდენად, რომ განიხილავდეს მეგობრებთან საკუთარ ჰობის იმის გათვალისწინების გარეშე, იზიარებენ თუ არა მის გატაცებას დანარჩენები?

დიახ; არა.

3. ყველაზე დიდი სიბრძნეა ის, შეინარჩუნო ღირსება მაშინაც კი, როცა არსებობს ძლიერი ცდუნება, სხვანაირად მოიქცე?

დიახ; არა.

4. თუკი ადამიანი ამჩნევს შეცდომებს სხვის საუბარში, უნდა შეუსწოროს.

დიახ; არა.

5. როცა ხვდებით უცხო ადამიანებს, უნდა იყოთ საკმარისად გონებამახვილი და მიმზიდველი, რომ შთაბეჭდილება მოახდინოთ.

დიახ; არა.

6. როცა უცნობ ადამიანს გაცნობენ და მის სახელს ვერ გაიგებთ, სთხოვთ, გაიმეოროს?

დიახ; არა.

7. დარწმუნებული ხართ, რომ პატივს გცემენ იმის გამო, რომ არასოდეს არავის აძლევთ უფლებას, გაგეხუმრონ?

დიახ; არა.

8. ყოველთვის ყურადღებით უნდა იყოთ, თორემ გარშემომყოფები დაგცინებენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებენ.

დიახ; არა.

9. როცა ურთიერთობთ გონებამახვილ ადამიანთან, ამჯობინებთ, არ აჰყვეთ კამათს, მოკლედ მოუჭრათ სათქმელი და შეეშვათ.

დიახ; არა.

10. ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ მისი საქციელი შეესაბამებოდეს კომპანიის განწყობას, რომელშიც იმყოფება.

დიახ; არა.

11. ყოველთვის უნდა დაეხმაროთ მეგობრებს იმიტომ, რომ შესაძლოა, მათი დახმარება თავადაც დაგჭირდეთ.

დიახ; არა.

12. არ ღირს სხვებზე ზედმეტად ზრუნვა, რადგან ბოლოს მაინც ბევრი ვერ შეაფასებს სიკეთეს შესაბამისად.

დიახ; არა.

13. უმჯობესია, სხვები იყვნენ თქვენზე დამოკიდებული, ვიდრე თქვენ – სხვაზე.

დიახ; არა.

14. ნამდვილი მეგობარი ცდილობს, საყვარელ ადამიანებს ყველაფრით დაეხმაროს.

დიახ; არა.

15. ადამიანმა უნდა გამოამზეუროს ყველა თავისი საუკეთესო თვისება, რათა შესაბამისი აღიარება და დაფასება მოიპოვოს.

დიახ; არა.

16. თუკი ისმენთ ანეკდოტს, რომელიც იცით, მთხრობელი უნდა გააჩეროთ.

დიახ; არა.

17. როცა ისმენთ ანეკდოტს, რომელიც იცით, უნდა იყოთ საკმარისად თავაზიანი, რომ გულიანად გაიცინოთ.

დიახ; არა.

18. თუკი დაგპატიჟეს მეგობართან, თქვენ კი გირჩევნიათ კინოში წასვლა, იტყვით, რომ გტკივათ თავი ან მოიგონებთ სხვა ტყუილს, რომ რეალური მიზეზის გამხელით მეგობარს გული არ ატკინოთ.

დიახ; არა.

19. ნამდვილი მეგობარი მოითხოვს, რომ მისი ახლობლები მოიქცნენ ისე, როგორც თავად სურს, თან მაშინაც კი, როცა სხვებს ასეთივე სურვილი არ აქვთ.

დიახ; არა.

20. ადამიანებმა არ უნდა დაიჟინონ საკუთარი სიმართლის მტკიცება ყოველთვის, როცა ვინმე სხვა მის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს.

დიახ; არა.



**ინსტრუქცია:** მონიშნეთ პასუხები „დიახ“, თუ ეთანხმებით, და „არა“, თუ წინააღმდეგი ხართ. შემდეგ ყოველ პასუხზე, რომელიც სწორია, დაიწერეთ 5 ქულა. სწორი პასუხებია: „დიახ“ – 6, 13, 14, 20. „არა“ – ყველა დანარჩენი.

**ტესტის შედეგები:**

**0-60 ქულა:** სამწუხაროდ, ტესტი იმას გვეუბნება, რომ გარშემომყოფთა დიდი სიყვარულით ვერ სარგებლობთ. რაღა თქმა უნდა, ეს ის სიტუაციაა, რომელსაც გამოსწორება აუცილებლად სჭირდება, რადგან დიდი ეჭვი გვაქვს, ასეთი ცხოვრება დიდად მომხიბვლელი არ უნდა იყოს. შეეცადეთ, შეიცვალოთ ხასიათი, განსაკუთრებით კი ის თვისებები, რომლებიც გარშემომყოფების ზედმეტ გაღიზიანებას იწვევს.

**61-70 ქულა:** გარკვეული ნაწილი პატივს გცემთ, უყვარხართ და სიმპათიას ღიად აფიქსირებს. მაგრამ უმჯობესია, იზრუნოთ და გამოასწოროთ ყველა დანარჩენი თვისება, რომლებიც უმეტესობას საშინლად არ მოსწონს.

**71-80 ქულა:** გარშემომყოფებს უყვარხართ და შესაძლოა, რამდენიმემ თქვენთვის საკუთარი თავიც კი უკან დაწიოს.

**81-100 ქულა:** შესანიშნავი შედეგია, ყოჩაღ! ფაქტია, აბსოლუტურ უმრავლესობას უსაზღვროდ უყვარხართ, უდიდეს პატივს გცემენ და მოკლედ, ნამდვილი მეგობარი ხართ ყველაზე საუკეთესო თვისებებით.



*****



გოგონა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობს. მძღოლისთვის ფული აქვს გადასაწოდებელი. წინ უცნობი გოგონა ელობება. დაიწყებს ლოგიკურად მსჯელობას: რადგან ბოლოსწინა გაჩერებაზე არ ჩავიდა, ესე იგი ბოლოში ჩადის. გამოდის, რომ ჩემს უბანში მიდის. ხელში ღვინო უკავია, ესე იგი, მამაკაცთან უნდა მიდიოდეს. ღვინო ძვირფასია, ალბათ, მომხიბვლელ მამაკაცს ხვდება. ჩემს უბანში მხოლოდ ორი მომხიბვლელი მამაკაცია – ჩემი ქმარი და ჩემი საყვარელი. ჩემს საყვარელთან ვერ მივა, რადგან ის მე მელოდება. ესე იგი, ჩემს ქმართან მიდის. ჩემს ქმარს ორი საყვარელი ჰყავს: თეონა და ნინუცა. ნინუცა ახლა ქალაქში არ არის.

– თეონა, ეს ფული მძღოლს გადააწოდე, თუ შეიძლება.

გოგონა განცვიფრებული პასუხობს:

– საიდან იცით ჩემი სახელი?!

*****

ლომი გამოაცხადებს, ვინც ტყეში „დიდზე მოისაქმებს“, შევჭამ, არ ვაცოცხლებო. გავა ორი კვირა. ლომი ტყეში მისეირნობს. ხეზე ფრინველს დაინახავს და მიესალმება:

– ვაჰ, ბუს ვახლავარ!

– ბუ კი არა, ბელურა ვარ, შენი შიშით ორი კვირა კუჭში ვერ გავსულვარ!!!

*****

ქობულეთში ტურისტი იხრჩობა. შევარდება მაშველი, გამოიყვანს, ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს, მოკლედ, დიდი წვალების შემდეგ მოაბრუნებს.

ცოტა ხანში მაშველს სიკვდილს გადარჩენილი ტურისტის მშობელი მიაკითხავს.

– ა გდე ტაპოჩკი, ცავატანემ?!

*****



– მახსოვს, ჩვენს საბავშვო ბაღში ერთი ბიჭი იყო, ყველას ურტყამდა, ჩემ გარდა. ძალიან მაგარი ვიყავი და ყოველთვის საკადრის პასუხს ვუბრუნებდი. ზუსტად ამისთვის გამომაგდეს ბაღიდან.

– რატომ?!

– ასე მითხრეს, დარაჯი ბავშვებთან არ უნდა ჩხუბობდესო...

*****

ნადირობიდან დაბრუნებული მეგრელი უყვება მეორეს:

– ხოხ, რა ეშმაკი და მატყუარა ცხოველი ყოფილა ეს მელია, კაცო!

– რა მოხდა?

– რა და, დავინახე, ჩავუსაფრდი, დავუმიზნე, ვესროლე, მოვკალი, მივედი და ძაღლი არ ყოფილა?!

*****

ჭიჭიკია ზის ოთახში. შემოდის სიდედრი ცოცხით. ჭიჭიკია ეუბნება:

– ქალბატონო ცისანა, უნდა დაგავოთ თუ სადმე მიფრინავთ?

*****

ვაჟი მამას ეკითხება:

– მამიკო, მართალია, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სიძემ არ იცის, ვისზე ქორწინდება?

– ეჰ, ეს ყველა ქვეყანაში მასეა, შვილო!..

*****

მაღაზიაში ძალიან მსუქანი ქალი შედის:

– ძალიან მაინტერესებს ვიპოვო საცურაო კოსტიუმი, რომელიც მომერგებოდა!

გამყიდველი:

– ჰო, ეგ მეც ძალიან მაინტერესებს...

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101).



# ვაკანსია

„ალია ჰოლდინგი“ მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტებისთვის აცხადებს კონკურსს „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ საინფორმაციო განყოფილების რედაქტორის თანამდებობაზე.

**ხელფასი 800 ლარიდან.**

ასევე სამუშაოდ იწვევს კრიმინალის, საზოგადოების, ეკონომიკის და სოციალურ საკითხებზე მომუშავე გამოცდილ ჟურნალისტებს. **ხელფასი 600 ლარიდან.**

*ტელეფონი:*

577 74 99 89 თამაზ ბესტავაშვილი (15 საათის შემდეგ)

221 21 80 (106) მანანა გიორგაძე

საპროტესტო აქციის მონაწილეები მაზოხისტები იყვნენ, დამრბევი პოლიციელები – სადისტები. ყველამ უდიდესი სიამოვნება მიიღო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი*

მე-14 გვერდის სკანვორდის პასუხები

1. ჯავახიშვილი; 2. მაჭავარიანი; 3. სირაჯი; 4. კუპრი; 5. ბილიკი; 6. ხბო; 7. ბუ; 8. ბუმბერაზი; 9. მამაცი; 10. აფსუს; 11. მორისეტი; 12. ლამაზისეული; 13. რა; 14. სასადილო; 15. ლომონოსოვი; 16. სარდალი; 17. ანანური; 18. ვირთაგვა; 19. „გალათასარაი“; 20. ლიმა; 21. ჯარისკაცის; 22. „სანტე“; 23. კირილ; 24. ლინო; 25. სირენა; 26. დონი; 27. პირამიდა; 28. მარტინა; 29. ბაგრატიონი; 30. ტოგა; 31. გოია; 32. შარა; 33. ტენერიფე; 34. სმირნიტსკი; 35. იმა; 36. ცენტნერი; 37. ოსტატი; 38. არწივი; 39. წინანდალი; 40. მინელი; 41. ანცი; 42. ციალი; 43. მინინი; 44. არა; 45. ეტნა; 46. გონიო; 47. აყალმაყალი; 48. უდაბნო; 49. სინდიყი; 50. დონიცეტი; 51. „ქაჯანა“; 52. ანძა; 53. ფიჭა; 54. ფიონა; 55. ესტაფეტა; 56. საფანტი; 57. ქრონომეტრი; 58. ამირანი; 59. ლიდერი; 60. ბალონი; 61. ლომვეშაპი; 62. აბელ; 63. რონა; 64. დალმატინელი; 65. ბია; 66. კორსიკა; 67. დრონი; 68. ძაფი; 69. ფრესკა; 70. „ნირვანა“; 71. ოყა; 72. „ავატარი“; 73. ანდანტე; 74. ნეფერტიტი; 75. ჰორნი; 76. ტიარა; 77. ბარბექიუ; 78. მელომანი; 79. კაფია; 80. სამოა; 81. პომადა; 82. კონ; 83. ვუ; 84. ლვოვი; 85. ტორტი; 86. ნერპა; 87. კვებეკი; 88. ტერ; 89. ნისლი; 90. ზარბაზანი; 91. ლიტრი; 92. მაკარ; 93. რამაზანი; 94. მონტე; 95. ანტი; 96. ასპიტი; 97. ნიკე; 98. ნოსტე; 99. კონიაკი; 100. მეი; 101. კარლოს; 102. კიკუ; 103. ირიდა; 104. ირისი; 105. პონი; 106. ბონდი; 107. კალორია; 108. ოქრო; 109. როტარუ; 110. ნიუტონი; 111. ლისტი; 112. მიდია; 113. ხაში; 114. ნიაგარა; 115. კიტონი; 116. ოპერა; 117. ოზონი; 118. იანკი; 119. კუბერტენი; 120. ბროლი; 121. მარტო; 122. აგვისტო; 123. ლამა; 124. ოაზისი; 125. ნისკარტი; 126. ლილუ; 127. რაუტი; 128. იან; 129. ოტო; 130. სვია; 131. ორბიტა; 132. მო; 133. ტიმ; 134. ოცი; 135. აგნია; 136. უმი; 137. ტვინი; 138. კიი; 139. რაც; 140. ოსტაპ; 141. ცილა; 142. ტუტი. იკითხება: ჯეკ ნიკოლსონი.

## ამინდი

თბილისი

28 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ღამე | | +13 |
| დღე | | +24 |

რეგიონები

28 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +23 | ღამე | +13 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +13 |
| თელავი | +25 | ღამე | +12 |
| ფოთი | +20 | ღამე | +15 |
| გორი | +22 | ღამე | +11 |
| ზუგდიდი | +23 | ღამე | +13 |

# ჰოროსკოპი

*ვერძი 21.03-21.04*

**28 მაისი:** შეიძლება დღეს რაღაც არნახულ შედეგს მიაღწიოთ. ყურადღებით იყავით, რომ რამე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ.

*კურო 22.04-21.05*

**28 მაისი:** შეეცადეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმოთ. დაისვენეთ, გაერთეთ და ხვალისთვის ფორმაში იყავით.

*ტყუპები 22.05-21.06*

**28 მაისი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და ალბათ, გამოგეცნაურებათ კიდეც. შეიძლება დღეიდან თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალოს.

*კირჩხიბი 22.06-22.07*

**28 მაისი:** შეიძლება საღამოსკენ სასაცილო გახდეთ. ამაში ცუდი არაფერია, მთავარია, ღრმად არ შეტოპოთ.

*ლომი 23.07-22.08*

**28 მაისი:** ფრთხილად იყავით, შეიძლება სულელურმა აზრებმა შემოგიტიოთ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოუფრთხილდებით საკუთარ რეპუტაციას.

*ქალწული 23.08-22.09*

**28 მაისი:** მოგეჩვენებათ, რომ თქვენი დიდი ხნის ოცნებები აუხდენელია. გული არ გაიტეხოთ ცხოვრება წინაა და ბევრად მეტის მიღწევაც შეიძლება.

*სასწორი 23.09-22.10*

**28 მაისი:** რაღაცების შეცვლა მოგიწევთ. ურიგო არ იქნება, თუ ალტერნატივას მოუძებნით ყველაფერს, რაც არ მოგწონთ.

*მორიელი 23.10-21.11*

**28 მაისი:** პრობლემამ, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გეგონათ, შეიძლება კვლავ იჩინოს თავი. ასე რომ, მზად იყავით მოულოდნელობებისთვის.

*მშვილდოსანი 22.11-21.12*

**28 მაისი:** დღეს რამე მარტივი გასართობის მოძიება მოგიწევთ, ისეთის, რაც ძალისხმევას არ მოითხოვს.

*თხის რქა 22.12-19.01*

**28 მაისი:** დღეს თანამოსაუბრეებს თვალებში ჩახედეთ. ასე უფრო დარწმუნდებით, რამდენად გულწრფელი არიან ისინი.

*მერწყული 20.01-18.02*

**28 მაისი:** არ არის გამორიცხული, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ. ამიტომ ყველაფერი კარგად აწონდაწონეთ.

*თევზები 19.02-20.03*

**28 მაისი:** ფულთან მიმართებაში აკურატულობა გმართებთ. დიდია ალბათობა, რომ საკმაო თანხა უაზრობაში დახარჯოთ.

„ალია-ჰოლდინგი“

დამფუძნებელი
გიორგი გეგეშიძე



ალია ქრონიკა

რედაქტორი:
თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

alia@alia.ge

საინფორმაციო სამსახურის რედაქტორი
თემურ ჭუმბურიძე
(595 26 83 83) 221 21 80 პირადი (110)

მედიაჯგუფი:

1. ვარდიაშვილი ნელი 599 65-81-95, 221 21 80 ან 233 20 06 (226), 790 658 195
2. ზედელაშვილი გელა 555 48-48-61, 221 21 80 ან 233 20 06 (128), 790 333 803
3. ოქრუაშვილი თამარ 599 10-93-50, 221 21 80 ან 233 20 06 (129), 790 433 395
4. სამხარაძე ნინო 599 71-14-22, 221 21 80 ან 233 20 06 (130), 790 411 422
5. სახვაძე მიხეილ 599 93-28-03, 21 21 80 ან 233 20 06 (108)
6. თვალაბეიშვილი ნანა (ქუთაისი) 595 73 73 90
7. ქანთარია მამუკა (ლანჩხუთი) 597 09 98 98

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ქევანიშვილი

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
2-212-099
592-555-552
577-732-000
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭ -ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



რედაქციის მისამართია:
აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ.
I სართული
(ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.46

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49





„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის, მედიცინის დოქტორის, ნინო ადამიას მეუღლე, ცნობილი ქართველი კალათბურთელი

**გელა დარსაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ჟინვერი, შვილები დოდო და კახა, რძალი მარინა, დედმამიშვილები ემზარი, ბორისი, აბო და ელიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურბეგ**
**გრიგოლის ძე ონიანი**

**გასვენება:** შაბათს, 18 მაისს, 15:00 საათზე;
**მისამართი:** ლენტეხის რაიონი, სოფელი ჟახუნდერი.

„ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ამინდი

**თბილისი**

**24 მაისი**

ღამე +15
დღე +29

**25 მაისი**

ღამე +14
დღე +28

**26 მაისი**

ღამე +14
დღე +26

## რეგიონები

**24 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +34 | ღამე | +18 |
| ქუთაისი | +38 | ღამე | +20 |
| თელავი | +28 | ღამე | +14 |
| ფოთი | +35 | ღამე | +19 |
| გორი | +30 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +37 | ღამე | +17 |

**25 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +25 | ღამე | +14 |
| ქუთაისი | +28 | ღამე | +16 |
| თელავი | +29 | ღამე | +15 |
| ფოთი | +25 | ღამე | +16 |
| გორი | +28 | ღამე | +13 |
| ზუგდიდი | +26 | ღამე | +15 |

**26 მაისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | +22 | ღამე | +16 |
| ქუთაისი | +24 | ღამე | +16 |
| თელავი | +26 | ღამე | +15 |
| ფოთი | +20 | ღამე | +17 |
| გორი | +24 | ღამე | +12 |
| ზუგდიდი | +22 | ღამე | +17 |

**„ალია ჰოლდინგი“** სამუშაოდ იწვევს PageMaker-ში მომუშავე გამოცდილ დამკაბადონებელს. ანაზღაურება შეთანხმებით. ტ. 577 777 436.

## იუმორი

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*





*მოამზადა მიხეილ სახვაძემ დავით ახობაძის ნახატი*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

**ს.ს. თელასიაცხადებს №66/41 ფასთა ღია გამოკითხვას ავტომანქანების საბურავების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს "თელასის" შესყიდვების განყოფილებას ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

შემოთავაზებები დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***

**ს.ს. „თელასი“ აცხადებს №17/45 ფასთა ღია გამოკითხვას 0,4კვ - ს შემყვანი გამანაწილებელი მოწყობილობების შესყიდვაზე**

ორგანიზაციებს დეტალური ჩამონათვალის მიღება შეუძლიათ განცხადების გ დატოვეთ სს "თელასის" კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა №3, 1 სართული.

***წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 07 მაისი 17სთ.***



თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა და უკაცრიელ კუნძულზე ჩამოვარდა. როცა ადგილზე მაშველები მივიდნენ, ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ადამიანი გარდაცვლილთა ძვლების გროვაში იჯდა და უკანასკნელ ძვალს ხრავდა.

გადარჩენილი:

– მესმის, რომ გეზიზღებით იმისთვის, რაც გავაკეთე, მაგრამ იძულებული გავხდი, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ასეთი საშინელება ჩამედინა.

მაშველთა მეთაური შეშფოთებული უპასუხებს:

– რა თქმა უნდა, მესმის, სიცოცხლის გადარჩენისთვის ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი, მაგრამ ეს ოხერი თვითმფრინავი ხომ გუშინ საღამოს ჩამოვარდა?!

*****

ჯალათი მთელი ღამე ემზადებოდა საიუბილეო – მე-1000 სიკვდილით დასჯისთვის: ხმალი გააპრიალა, იმდენი ლესა, სამართებელს დაამსგავსა. დილით ეშაფოტზე სიკვდილმისჯილმა თავი კუნძზე დადო, ჯალათმა ხმალი მოიქნია.

სიკვდილმისჯილი:

– უი, მორჩა?

ჯალათი:

– კი, მორჩა.

– და რატომ ვერაფერს ვგრძნობ?

– აბა, თავი გააქნიე...

*****

ქუჩაში მოხუცებული ბებო მიდის. ორივე ხელში ჩანთა უჭირავს – დიდი და პატარა. დიდი ჩანთიდან ყოველი 10 ნაბიჯის შემდეგ 10-ლარიანი უვარდება. პატრული გაეკიდება და ეტყვის: „ბებო, შენი ჩანთიდან ფული ცვივა“. მოხუცი გაჩერდება: „უი, აბა, უნდა გავბრუნდე და მოვაგროვო“, მაგრამ პატრული მკაცრად უპასუხებს: „ჰო, მაგრამ მე ის მაინტერესებს, საიდან გაქვს ამდენი ფული, მოიპარე?!“ ბებო: „არა, შვილო, უბრალოდ, სტადიონთან ახლოს ვცხოვრობ. როცა რომელიმე გულშემატკივარი ბუჩქებში შევარდება მოსასაქმებლად, გალესილი მაკრატლით ვხვდები და ვეუბნები: ან 10 ლარი ან მოგაჭრი!“

პატრული გაიცინებს: „ეგ მაგარი რამე მოგიფიქრებია, ყოჩაღ, ბებო! და მეორე ჩანთაში რაღა გაქვს?“

ბებო: „10 ლარს ყველა არ მიხდის ხოლმე...“

*****

– როცა ცოლს ეჩხუბები, როგორ მიმართავ ხოლმე?

– „ჩემო ბაჭია“.

– მოიცა, ჩხუბის დროსაც ეფერები?

– შიმშილის დროს კურდღელი საკუთარ ცურცლს ჭამს ხოლმე. ჩემი ცოლი ზოოლოგია, ესმის საკითხი...

*****

ქორწილი მშვიდობით დამთავრდა, სიძე-პატარძალს შორისაც ღამით მოსახდენი მოხდა.

სიძე:

– ძვირფასო, მე მივხვდი, რომ ეს შენი პირველი სექსი არ არის!

პატარძალი (სიგარეტს ღრმა ნაფაზს ურტყამს):

– ჰო... მე კი იმას მივხვდი, რომ არც უკანასკნელი!

## ტესტი

ის, რაც მშობლებს თავიანთი შვილებისგან ესმით, პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ურთიერთობაზე. მაგალითად: „დე, რაღაც თავი ამტკივდა, თან ძალიან...“ _ მართლა ტკივა თავი თუ, უბრალოდ, სკოლაში წასვლა ეზარება?

პატარების გაგება არცთუ იოლი საქმეა. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ბავშვები ხშირად თავიანთ მშობლებზე ბევრად ენერგიულები და საზრიანები არიან. მაშინაც კი, როცა მორიგ ცუღლუტობას მოიგონებენ, გარეგნულად შესაძლოა, ისე გამოიყურებოდეს, მშობელს უმცირესი ეჭვიც არ გაუჩნდეს. უნდა დაუჯეროთ? მეორე მხრივ, უამრავ მშობელს შეუძლია, შვილის ჩანაფიქრი მხოლოდ მისი გამომეტყველებით ამოიცნოს.

# გესმით თუ არა საკუთარი შვილის?

### და თქვენ რამდენად კარგად გესმით საკუთარი შვილის?

**1. შვილი გეუბნებათ: „გეხვეწები, კვირას ადრე არ გამაღვიძო, გამოძინება მინდა“:**

ა) რა თქმა უნდა, დაიღალა პატარა, სასწავლო წლის ბოლოა, გამოცდები აქვს, ბევრს მეცადინეობს და დასვენება მართლა სჭირდება;

ბ) თუ მართლა უნდოდა გამოძინება, შუა ღამემდე კომპიუტერთან არ იჯდებოდა!

გ) უბრალოდ, დასვენების დღეს უფრო დიდხანს ძილი სურს.

**2. შვილთან ერთად გასეირნება მოგინდათ, ის კი გპასუხობთ: „ჩემს გარეშე წადი, რაღაც განწყობაზე ვერ ვარ“:**

ა) ძალიანაც კარგია, როცა ბავშვი დამოუკიდებლად იზრდება და თავად ირჩევს, თავისუფალი დრო როგორ გაატაროს;

ბ) როგორც ჩანს, ძალიან გაირიყა. სამწუხაროა, რომ სხვა რაღაცები უფრო აინტერესებს, ვიდრე მშობლებთან ურთიერთობა;

გ) უბრალოდ, სახლში მარტო დარჩენა უნდა.

**3. თქვენი ქალიშვილი სახლში გაბრაზებული ბრუნდება და უახლოეს მეგობარს ლანძღავს.**

ა) მას სურს, მოვუსმინო და ალბათ, თანავუგრძნო;

ბ) კარგი იქნებოდა, თუ ყურადღებას მიაქცევდა, როგორ იქცევა ხოლმე თავად. შესაძლოა, მეგობარი არაფერ შუაში იყოს;

გ) ალბათ, მეგობარი ცუდად მოიქცა.

**4. ვაჟს სთხოვთ, ფეხსაცმელები გაირეცხოს, რაზეც გპასუხობთ: „არ შემიძლია, ბევრი სამეცადინო მაქვს“:**

ა) როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლას! ასეთი სერიოზული დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობის მიმართ აუცილებლად უნდა წაახალისდეს;

ბ) ჟუქნარა! ვერ მომატყუებს ასეთი ცუღლუტობით;

გ) დღეს იმდენი აქვს სამეცადინო, რომ ფეხსაცმლის რეცხვისთვის დრო მართლა არ რჩება.

**5. სადილზე ქალიშვილი ცოტას ჭამს და გპასუხობთ: „რაღაც არ მშია“:**



– მამი, რა მაგარი ტუალეტი გვაქვს, კარს რომ ვაღებ, შუქი თავისით ინთება ხოლმე.

– ვააჰ, ისევ მაცივარში მოფსი, შე შობელძაღლო?!

*****

თეატრი. სინათლე ჩამქრალია. სრული სიჩუმეა, ყველა სპექტაკლს უყურებს. უეცრად მესამე რიგიდან განწირული ადამიანის ხმა ისმის:

– ექიმი! არის აქ ვინმე ექიმი?!

სადღაც აივნიდან უპასუხებენ:

– მე ვარ ექიმი, რა მოხდა?

– კოლეგა! ეს რა იდიოტობას გვაყურებინებენ?!

*****

პატარა ბავშვს ხელში განავალი უჭირავს და დედასთან გახარებული გარბის:

– დედიკო, შეხედე, კინაღამ ამაში ჩავყავი ფეხი!!!

*****

ზარი ცირკში:

– გამარჯობათ! მახინჯი ადამიანი არ გჭირდებათ?

– გაგიმარჯოთ! რას გვთავაზობთ?

– 2 თავი მაქვს.

– მართლა? შესანიშნავია!

– ჰო, კიდევ, ერთ თავზე 3 ყური მაქვს.

– წარმოუდგენელია!

– მეორეზე კი 4 თვალი.

– სენსაციაა! აუცილებლად უნდა შევხვდეთ!

– კარგით, მაშინ ხვალ მერიასთან შეგხვდებით, რომ მიცნოთ, ხელში ყვავილები მეჭირება...

*****

თუკი საავადმყოფოები სამუშაოდ ყრუ ქირურგებს მიიღებენ, ნარკოზის დაზოგვა მოხერხდება...

*****

– ყველასგან დავიღალე... მარტო მინდა ცხოვრება! – გაიფიქრა წყალბადის ბომბის გამომგონებელმა.

*****

– გამარჯობა, შეიძლება ჩემი ქალიშვილი თქვენი სინქრონული ცურვის წრეზე ჩაწეროთ?

– ძალიან დროულად მოხვედით – გუშინწინ ერთი დაგვეხრჩო და...

*****

– თავი გტკივა?

– მოიცა... არა, არ მტკივა... და რა იყო?

– აფსუს, არ მუშაობს... არაფერი, ვუდუს თოჯინას ვცდიდი და...

*****

– ექიმო, რატომ მზომავთ?

– მე ექიმი არ ვარ, მეკუბოვე ვარ, წელან დამირეკეს, მოდიო...



მამუკა ქანთარია
*„ალიასთვის" ოზურგეთიდან*
597 09-98-98



ნანა თვალაბეიშვილი
*„ალიასთვის" ქუთაისიდან*
595 73-73-90



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



გიორგი საკარული
555 42-42-90



თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50



ნელი ვარდიაშვილი
599 65-81-95



მირანდა ნაბახტეველი
555-62-13-63



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



თემურ ჭუმბურიძე
595 26-83-83



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



მარი გულორდავა
555 59-47-76



მარიკა ჩხიკვაძე
597 40-09-93



შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ხათუნა ელბაქიძე
591 41-27-97



თამარ ბატიაშვილი
597 56 09 88

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს № CONST 27-13/1 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენ-ერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

***წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი***

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" აცხადებს № CONST 27-13/2 ღია კონკურსს შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენ-ერგეტიკის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

***წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 საათი.***

**სს „ხრამჰესი 2" აცხადებს № X1-03-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2" -ის კუთვნილი და მის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.***

**სს „ხრამჰესი 2" აცხადებს № X1-04-2013 ღია კონკურსს სს „ხრამჰესი 2" -ის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : 0322 330954, 551 461949

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 27 იანვარი 15 სთ.***